დ. თვით ვნებოთნი ზმნანი მიჩემებოთის სახეში უკვსცვლიან ნაცვალსახელსა ვე, ნაცვალსახელზედ მე და დაბოლოვებანი ა ზედ ან ი ზედა. მაგალ. ვექენები, თვითვნებ. საზღურ. სქესი აწმდგ. მექენები, — ბა; ქმნ. უსრული, მექენებოდი, — და; ქმნ. სრული: მექენე; — ნა; სათუო სქ. აწმდგ. მექენებოდე. — დეს, ქმნადი. მექენო, — ნოს, სხვა ღრონი არა აქვს.

მსგავსად მიმოიხვრებანი: მეზადები, — ბა; მეზადე, — და; მეუზნები, — ბა; მეუზენ; მეუზნა; მელაპარაკები, — ბა; მელაპარაკე. — კა; მეტორები, — ბა; მეტორე, — რა; მეუფარები, — ბა; მეუფარე, — რა; მეწყინები, — ბა; მეწყინე, — ნა; მეომები, — ბა; მეომე, — მა; მეთამაშები, — ბა; მეთამაშე, — შა; მეკრტმლები, — მლეზა; მეკრტმლე, — შლა.

უნიშნუა. მიჩემებოთ თვითვნებულთა და ვნებით დაწყებოთთა ზმნათა, თავს მექონათ ნაცვალს, მი აკლთ პირველი პირი, ვითარცა ზმნათ მიჩემებოთა, წყებულთა: მ, მა, მი. მაგალ. მეუზნები, მეუზნება; მეკრტმლები, — ბა; მეუშენები, — ბა; გარნა წყებულთა ნაცვალსახელითა გ. გა, გი, აკლთ მეორე პირი: გეუზნები, გეუზნება; გეკრტმლები, გეკრტმლება; გიშენილები, — ბა.

ზმნისწესელისა თვის.

§ 30. ზმნისწესელა არს სიტყვა, რომელიც არ შესცვლის დაბოლოებებსა და დაიდების წინა დადებასში ზმნისა ან შედგურულის სახელის წინა დასასისწველად ვითარებისა, გარკუ. მოკების, ღროისა, რიცხვისა და სხ.

ზმნის წესელის იქნებანი.

1. ვითრებოთნი, მაგალ. ავად, კანდიერად, უკადრი-სად, განგებ. უკანგებოდ, ძალიან. ძლიერ. მრავალჯერ. ზედუესრული სახელნი განვითარების ბრუნვასში იხმარებანი, ვითარცა ზმნისწესელანი. მაგალ, შავად, თეთრად, წითლად და სხვანი.

2. ღრობოთნი, მაგალ. აწ, ეხლა, დღეს, ამ ღამეს შარშან, ახნიად, არაოდეს, განთიად, დღოს, გუშინ, გუშინწინ; ღეგ, მაჭეგ, მყის, მარადის, მაშინ, მერმე, მერე, მუდამ. მისდგომი; მიწყვი, ნიადაგ, უწინ; დღეს, ძოღან, ჯერ; ხვალ; აღრე, დღევ ან დღით; აღრიღან,

მიერთვან; სანაშღისინ, შემოდგომამდინ. მრავალნი სახელნი სალაობითს ბრუნვაში იხმარებიან, ვითარცა ზმნისზედანი, მაგალ, გათუნებისს, საილობისს და სხვანი.

3. რაოდენობითი, ერთხელ, ხუთჯერ, სამგზის, სამჯერ, ათიოდ, ხუთიოდ, ბევრი, ცოცა, ეგოდენ, სულ.

4. ადგილობითი, აქ, იქ, ახლო, გარეთ, შინ, მუნ; შინიდან, გარედგან; ამიერ, იმიერ; აქეთ, იქით, ახლოს, გარე, გარეგან, გარემოს, გვერდით, დაბლა, მაღლა, ზე, ზეგარდმო, მაღლა, უკან, წინ, ქვეშ, ქვე; შორის, შორიდგან და სხ.

5. შეკითხვითი. განა? მართლა? როგორ? რად, რატომ? სად?

6. დამკვიცვებითი, ეგრეთ, ნამდვილ, ჭეშმარიტად, ბარე, ბარემც, ამიკომ, მისთვის; აგრე, დიად.

7. საგონებელნი. ეგე ბის, ვინიცის, ნუ თუ, ნუ უკვე

8. განსაწილანი: ცალცალკე, თითოთითოდ.

9. ნეტარებითნი: ნეტრთუ, ნეტავი, ნუ თუ.

10. უკუთქმითნი: არა, ნუ, ვერა, არა ოდეს, არასდროს, ზმნისზედა არა შესცვლის დაბოლოვებას: სახელობ. არა, ნათეს, არასი, მიც. არასა; მოქმ. არათი, განვ. არად. მრავლობ. არა აქეს. ამის მაგიერად იხმარება: არა რანი, არა რათა; არა რაები, არა რაებისა არა რაეხსა, არა რაეხითა, არა რაეხად.

11. შემსგავსებითი; ებრ, მდაბ. ეფ. მეზრ, ვით, თანა. მაგალ. ჩემსაებრ, მდაბ, ჩემსაეფ; ამისთანა, შენსაეფით.

12. მდგომარეობითნი: დგომელა, ჯდომელა, წოდელა.

13. გარშემოსაზღვრებითნი: მხოლოდ, მარცო, გარდა, გარდაის.

### თანდებულისათვის.

**§ 31.** თანდებული არის შეუცვლელი სიტყვა, რომელიც დაიდების ან თავს ან ხალხს ან ცალკე.

1. თანდებულნი, რომელნიც დაიდებიან შეერთებულად მოქმედების სიტყვის თავსა არიან: აღ (შემოკლ. ა), აღმო (აზო), გან (გა), გარდა (გადა). და, მი, მო, შე, შემო, შთა, ჩა, წარ, წა და სხვანი, ამათ მნიშვნელობათა ნახე XXXII გვერდი.

2. რომელნიც დაიდებიან სიტყვის ბოლოს შეერთებულად: გან, გამო, და, დმი, დმი; მდე, დმის, დმინ,

ზე, ზედ, ზედა, ზედან: თან, თანა; თვის; ურთ, თურთ, უკან, შიდ, შიდა, შიგ, შიგა; შინ, შინა, ში; ქენ.

3. რომელნიც დაიდებიან ცალკე: ამიერ, იმიერ, გარდა, გარდგარდმო, გარე, გარეგან, გარეშე, გარემოს, ვიდრე, თვინიერ, მიმართ, მომართ: ქვე, ქვეშ, ქვეშე; შორის, შემდგომ წინ, წინა, წინარ, წინაშე. კერძო, მიერ, წიალ, წილ, მიერ.

### კავშირისათვის.

**§ 32.** კავშირი არს შეუცვლელი სიტყვა, რომელიც შეაკრთებს ერთს წინადადებას შეატრესთან. კავშირნი იქნებიან:

ა. შემკრთებელნი: და, ვე, ცა, რომ, რომე, უკვე.

ბ. განყოფილნი: ან, ანუ, ანუთუ, არც, არცა, გინა, განათუ, თუარადა.

გ. თუობითნი: თუ, ოდესმე; უკეთუ, დალთუ, თუმცა, თუმცალა.

დ. წინააღმდეგობითნი: გარნა, არამედ, მაგრამ, ხოლო, თვინიერ, თორემ, ვიდრე, ვიდრელა; თუარადა.

ე. შეკითხვითნი: ახა, უკვე, უკვესადამე, მაშაბა, მაშასადამე.

ვ. მიზეზობითნი: ამით, ამაღ, ამიკომ რომ, ამისთვისრომ, ამაღ-რომე, ვითარმედ, ვინა, ვინათგან, ამაღ-რომელ, მით, რახან, სამე, თუსადამე, რამეთუ, რომელ, მაშასადამე, რომ, რომე.

ზ. განცხადებითნი: ესე იგი, რეცა, ვითამც, სახელ-ლობრივ.

თ. განზრახვითნი: ვინა, ნუ უკვე, თუმცა.

### შორდისდებულთათვის.

**§ 33.** შორისდებული არს შეუცვლელი სიტყვა, რომლითაც დაისიძვეის სხვა და სხვა გრძობა გულისა, ე. ი. მწუხარება, ერთიან, შიში და სხ. დასანიშნველად გასკვირვებისა: აჰ, ოჰო, ეჰ, ჰოი, ვეჰ, ბეჰავ; დასანიშნველად მწუხარებისა: ვაი, ვაიმე, ჰოიმე, ვაგლანმე; დასანიშნველად სიხარულისა: ვიშ, ვაშა ვაშა, ნეტრძი; დასანიშნველად: სუ, სუსუ; დასანიშნველად: ეჰა, ეი, ჰეი, აი! საჩვენებლად; აი; დასანიშნველად: ჰო; შესარტყვნელად: ფუ, აუ! ძალის დატანებისა: აბა!



### IV. წარმოება სიტყვათა.

**§ 34.** სიტყვები შექსდებთან: ძირთაგან, რომელთაც მოკმატება თავს და ბოლას სხვა და სხვა მარცვლები:

ა. ძირი არის პირველი სახე სიტყვისა, შემდგარი ერთისა ან ორის მარცვლისაგან, მაგალ. პირი, ხელი, სული, თქუმა, ჭამა და სს.

ბ. დამატებული თავს მარცვალნი არიან: თანდებულინი: აღ, აღმო, შე და სხვანი, უკუთქმა უ; და მარცვალნი: მე, მო, ნა, სა და ნაცვალსახელები: ვჰ, ვა, ვი, ვუ, ვე, მ, მა, მი, მი: მაგალ. მო-ვჰ-სთქვამ; შე-ვჰ-სქამ; მე-პურე; მო-ჯამაგირე; მე-ურნე, მო-ენე; ნა-პირი; ნა-ქუთი; სა-ხელო, სა-სულე, უ-ხელო, უ-სულო, უ-პირი, უ-სამართლო; და სხვანი.

**§ 35.** ძირეულთა სიტყვათაგან ჰსწარმოებენ:

პირველი: არსებითი სახელები.

1. დამნიშველნი მოქმედებისა ან მდგომარეობისა. შექსდებთან: ა. პირველსახეობითთა სახელმწიფნათაგან შეცულობითა ნაბოლოვარისა მარცვლებზედ: ება, ობა, ვა, ობა, ომა, ილი, ული ან თავს დამატებითა მარცვლისა სი და ბოლოს შეცულობითა მარცვლებზედ: ილი, ული; მაგალ. ბანა, ბან-ემა; წოვა, წოვ-ემა; გლემა, გლ-ომა; ბრძემა, ბრძ-ოლა; ძრწვა, ძრწ-ოლა წუნვა, წუნ-ილი; რბემა, სი-რბილი; ნანვა, სი-ნან-ული; ძულვა, სი-ძული-ლი; სვლა, სი-არული; ყმელა, სი-ყმილი.

ბ. არსებითთა და ზედსერულთა სახელთაგან შეცულობითა დაბოლოვებათა მარცვლებზედ: ება, ობა, ვა; მაგალ: ნიშანი, ნიშნ-ემა ან ნიშნ-ვა; ბიჯი, ბიჯემა; შიში, შიშ-ვა; ნალველი, ნალვ-ომა; თეთრი, თეთრ-ემა; ნაყროვანი, ნაყროვან-ემა; სწორი, სწორ-ემა.

გ. აწმყოფისა და ქმნილის მიმღეობისაგან, შეცულობითა დაბოლოვებისა მარცვლებზედ: ება, ობა, მაგალ. მკითხავი, მკითხა-ობა; მწერალი, მწერლობა; კითხული, კითხულ-ობა; ცნობილი, ცნობილ-ობა; და სხვანი, ნახე ამის შემდგომ წარმოება ფენათა.

2. სახელნი მოქმედებითი შექსდებთან სახელმწიფნათაგან თავს დამატებითა ნაცვალსახელთა: მ, მა, მი, მმ, მო და ბოლოს შეცულობითა მარცვლებზედ: ალი, ალი, ელი, ელი, არე, არი, ური, ოღვარე, ოღვარე, იარე, ე, იო, ავი, ი, რე, ული. მაგალ. სახელწმა თხოვა, მ-თხოვნ-ელი; მთხოველი: წერა, მწერალი; მიცემა, მიმცემი; ცხოვრება, მცხოვრებელი, მცხოვრი: მა-ცხო-ვარი; ზაყვა, მ-ზაკ-ვარი; წიგნი, მ-წიგ-ნობ-არი; გლოვა, მ-გლოვ-არე; ცთომა, მ-ცთო-ური; ყვარვა, მო-ყვასი: დენა, მ-დინ-არე; და სხვანი.

3. არსებითნი სახელნი გარდაღებითი ჰსწარმოებენ.

ა. არსებითთა სახელთაგან დამატებითა ბოლოს მარცვალთა ება, ობა, მაგალ. კაცი, კაც-ობა; კაცება; ნათესავი, ნათესავ-ობა; ნაიბი, ნაიბ-ობა.

ბ. სახელმწიფნათაგან თავს დასმითა სი და ბოლოს შეცულობითა მარცვლებზედ ილი, ული, მაგალ. ძულვა, სი-ძული-ლი; ხარვა, სიხარული; ნანვა სინანული; კვლომა, სიკვდილი; რბემა, სი-რბილი; ქაღება, სიქაღული; მშეება, სიმშელი; სვლა, სიარული; ყმელა, სიყმილი და სს.

გ. ნაბოლოვარი არს ნაწილი სიტყვისა, რომელიცა ჰზის ძირის ბოლოს. ნაბოლოვარი არის ორგვარი, პირველი, როდესაც შეიცვლება სიტყვის ბოლო ბრუნვითა ან მიმოხვრითა, მაგალ: ხელ-ისა, სულ-ითა; ვჰსწერ-დი; ვჰსქამა-დი; მეორე, რომელიც მოეზავების ძირსა და მისცემს მას სხვასა და სხვას მნიშვნელობასა; მაგალ: ხელო-სანი; პირ-იანი, სულ-იერი; დაბოლოვება ამგვარის სიტყვებისა შეიცვლებიან ბრუნვითა, ვითარცა დაბოლოვება ძირის; მაგალ. ხელო-ს-ისა; სულიერ-თა; და სხვანი.

გ. ზედსერულთა სახელთაგან, დასმითა თავს მარცვლისა სი და ბოლოს ი მატებრად ასოსა ე, მაგალ. თეთრი, სი-თეთრ-ე; ღამაზი, სი-ღამაზ-ე; წმინდა, სი-წმინდ-ე; ყმაწვილი, სი-ყმაწვილ-ე; ადილი, სი-ადილ-ე; ძნელი, სი-ძნელ-ე; ბრძენი, სი-ბრძნ-ე; უკუთქმითი: უგულო, უგულობა; დრო, უდროობა; გრძნობა, უგრძნობელობა.

უენიშნუა 1. თუ ამ გარდაღებითთა სახელთა დაემატებათ ნაცვალსახელი ამ, მაგ: მაშინ გარდაღებითი სახელი მიიღებს ზედსერულის სახელის მნიშვნელობასა; მაგალ. ამ სილიდ მელი; მაგ სილიდ მელი.

უენიშნუა 2. ზედსერულნი სახელნი, დაბოლოვებულინი ელი ზედ, ზოგჯერ იმისობენ ამ დაბოლოვებას, როდესაც იმზარებთან, ვითარცა გარდაღებითი სახელნი: მაგალ. ზრქელი, სიზრქე; ბრცველი, სიბრცვე.

უენიშნუა 3. გარდაღებითი სახელნი, წარმოებულინი ზედსერულთა სახელთაგან თავს არ მიიღებენ მარცვალსა სი; მაგალ. პირ-შავი, პირ-შავობა; ნამუსიანი, ნამუსიანობა უკეთესი, უკეთესობა; უარესი, უარესობა; უპირველესი, უპირველესობა.

დ. მიმღეობათაგან დამატებითა ბოლოს: ება, ობა, მაგალ: შენებული, შენებულემა; მწერალი, მწერლობა; შემუსრვილი, შემუსრვილემა; მეთქვი, მეთქვეობა.

ე. რიცხვითთა სახელთაგან, ნაცვალსახელთაგან, ფმნისზედათა, თანდებულითა და კავშირთა, ბოლოს დამატებითა ება, ობა; მაგალ. ორი, ორ-ობა; ერთი, ერთობა; სამი, სამ-ემა; ან სამ-ობა; მაგ. მაგასობა; იგი, იგივეობა; ვინ, ვინაობა; თვისი, თვისება; რა, რაობა; ჩემი, ჩემება, ჩემობა; ვინა, ვინაობა; აღრე, აღრეობა; ცოცხ, ცოცხობა; გარეთ, გარეობა; სადა, სადაობა; ოდეს, ოდესობა; ნელად, ნელადობა; შორს, შორისობა; გარემო, გარემოება; თუ, თუობა; თვისი, თვისება; ამიერ, ამიერობა; იმიერ, იმიერობა; აქ, აქაურობა; იქ, იქაურობა; შინ, შინაობა; აღმა, აღმართობა; დაღმა, დაღმართობა, გრეგან, გარეგნობა.

4. გვაროვნობითი სახელნი დაბოლოვდებიან: იანი, იანი, ოვანი, იონი; ან მოემატებათ ბოლოს შეილი ან მე; მაგალ. ბაგრატ, ბაგრატ-იონი; ბაგრატ-იანი; ბარათა, ბარათიანი; ამილახვარი, ამილახვარ-იანი;



სარდალ, სარლიანნი; ან ამილანგისსეილი, ზედგინიძე, მიქელაძე და სს.

5. სახელნი ღლესაწაულთა შესდგებთან სახელთაგან წმინდათა დამატებითა ბოლოს მარცვლისა ობა; ჯვარი, ჯვარ-ობა; მარიამ, მარიამობა. მარიამობის თთვე. ფერის ცვალებუბა; სვეტიცხოველი, სვეტიცხოველობა.

6. სახელნი, დამნიშნველი ვისისაშე საბრძანებელისა მიიღებენ თავსა მარცვალსა სა და ბოლოს ო. მაგალ. ხელმწიფე, სა-ხელმწიფო-; მეფე, სა-მეფო-; ქართველი, სა-ქართველო-; მწე, სა-მწეო-; მოურავი, სამოურავო; ათაბაგი, სა-ათაბაგო-; ერისთავი, სა-ერისთო-; მურზაყანი, სა-მურზაყანო-; ამილანგარი, სამილანგარო-; ბარათიანი, საბარათიანო.

7. სახელი იარაღთა, ჭურჭელთა ან საცათა ნივთთა რათმე, შექსდგებთან სახელთაგან, რომელნიც დანიშნვენ ნივთსა რასმე, თავს უზისთ სა და ბოლოს ე ან ო. მაგალ. ღვინო, სა-ღვინე-; წყალი, სა-წყლო-; მარილი, სა-მარილო-; ქათამი, სა-ქათამე-; წიგნი, სა-წიგნე-; წილი, სა-წილი-; წერილმანი, სა-წერილმანო, საკუჭნავი, —ნავი; ხარი, სახარი; ჩეჭმა, საჩეჭმე, წალა, საწალე; ქვიშა. საქვიშე.

8. არსებითი სახელნი, დამნიშნველი დანხეულის კვალისა რაზედმე შექსდგებთან სახელთაგან თავს დასმითა ნა და ბოლოს ი, არი, ალი, ევი, ობი; მაგალითად: ოფლი, ნაოფლი; სოფელი, ნა-სოფლო-არი; ქალაქი, ნა-ქალაქევი; ტყრფი, ნა-ტყრფალი.

9. შენიშნუა. ზედშესრული სახელნი, წარმოებულინი ზმნათაგან ან ქმნილთა მიმლოებათა აქვსთ თავსა ნა: მაგალ. ხნვა, ნა-ხნავი, ე. ი. მოხნული; სევა, ნახევი; გვა, ნაგავი. და სს.

9. სახელნი ხელოსანთა ან მეურნეთა შექსდგების სახელთაგან, რომელნიც დანიშნვენ ნივთსა რასმე ან ხელოსნობას ან საურავს, თავს დასმითა მარცვლისა შე და ბოლოს ი მაგაირად ე, მაგალ. პური, მე-პურე-; ღვინო, მე-ღვინე-; თევზი, მეთევზე; უდაბნო, მეუდაბნოვე.

10. სახელი თემთა ან ადგილთა შექსდგებთან სახელთაგან ხალხისა, თავს დასმითა მარცვლისა სა და ბოლოს ეთი ან მარცო ბოლოს ეთი, მაგალ: სპარსი, სპარსეთი; რუსი, რუსეთი; ქართველი, საქართველო, ბერძენი, საბერძნეთი; სმელითი, მთიულეთი, კარაღეთი. კასი, კასეთი; იმერელი, იმერეთი; მთეული, მთეულეთი; ინლო, ინლოეთი.

11. სახელნი, დამნიშნველი ვინაობისა ან საღაობისა შექსდგებთან სახელთაგან თემთა, ადგილთა, ქალაქთა და სს. შეცულოთ ნაბოლოვარის ი მარცვლებზედ: ელი, ველი: ან თავს მომატებთა: შა, შე, შო; მაგალ. ქართლი, ქართლელი ან ქართველი: რაჭა, რაჭველი; მოსკოვი, მოსკოველი; აწუური, მაწუურელი;

რუსი, რუსელი ან მროველი; აჩაბეთი, მაჩაბელი, ეგარისი, მეგრელი; ეგვიპტე, მეგვიპტელი; სევი, მოსხევე; თემი, მოთემე, ბაღდადი, მობაღდადე.

12. სახელნი, მარცვლებული ადგილთა სადაც მუშაობენ რასმე, მაგალ. ხაზაზი, სახაზავი; მზარეული, სამზარეული.

13. სახელნი შემკრებლობითი დაბოლოვებთან მარცვლებზედ: ეული ან ნარი: ვეცელი, ვეცელეული; ბეწვი, ბეწვეული; ნივთი, ნივთეული; მუხა, მუხსნარი; ფიჭვი, ფიჭვნარი; თხილი, თხილნარი; ბუჩქი, ბუჩქნარი; შინი, შინდარი; ძემეტი, ძემეძნარი; შამბი, შამბნარი. შემკრებლობითა სახელთა ეკუთვნეიან აგრეთვე განმორებულნი სიტყვები; მაგალ: ხილი მილი; წილი მილი; წყალ-წყული: აგრეთვე სახელნი დამნიშნველი სიმრავლისა მიიღებენ ბოლოს მარცვალთა ობი, რობი, ოვანი, მაგალ. ქვიშა, ქვიშრობი, კლდე, კლდეოვანი; მთა, მთობი და სს.

14. კინობითი სახელნი დაბოლოვებთან მარცვლებზედ: ა, კა, ცა, ია, ლა, ცა, მაგალ. დავით, დავითა, დავითელა, დათიკელა, დათიკა, დათუა; სიმონ, სიმონა, სიმონიკა, სიმონიკელა; პეტრი, პეტრიელა, პეტრიკა, პეტრია; პავლე, პავლია, პაპუნა, პაპუ; ივანი, ნინია; გიორგი, გიორგიცა, გოგიცა, გოგიცელა; ნინო, ნინა, ნინუცა; ბიძა, ბია, ბიძია; პაპა, პაპუ; მამა, მამია; გაბრიელი, გაბუ; წიგნი, წიგნაკი; დაბოლოვება კი საღუთო წერილში იხმარება მრავალგვარად ან ნიშნავს კინობითის სახელს; მაგალ. ჭვარავი, ბამბაკი (ბამბა); გლახაკი; დახაკი; ქალაკი და სხვანი.

15. სახელი უკუთქმითი მიიღებენ თავს უ და ბოლოს ო, ება, ობა; მაგალ. მამა, უმამა; დედა, უდედა; ან. უმამობა; უდედაობა; ბედი, უბედობა; უბედურობა; კაცა, უკაცურობა, უკაცრობა; ღონე, უღონობა; სჯული, უსჯულობა, უსჯულოება.

16. რთული სიტყვები, მაგალ. მღვდელ-მთავარი; გულის მოდგინება, ღვებრძელობა; დედა შვილი, დედა წული; დედა-მამანი, ცოლ-ქმარი, ქალ-ვაჟი, გოგო-ბიჭები; დამანი.

17. სახელნი წიგნთა მიიღებენ ბოლოს მარცვალსა იანი ან ოსანი; ამირანდარეგანიანი, ეფფვის-ცუფოსანი, ვისრამიანი, უარამიანი, ჭილისხანიანი.

მეორე: ზედშესრული სახელნი.

1. დამნიშნველი ვითარებისა ან თვისების იქმნებთან ა. პირველსახეობითი: მაგალ. შავი, თეთრი, მწვანე; ღიღი; მალღი; ავი; ბოროტი; კარგი და სხვანი. ბ. წარმოებითი. რომელნიცა ქსწარმოებენ არსებითა სახელთაგან დამატებითა ბოლოს მარცვალთა ელი, ალე, ილი, იერი; მაგალ: მადლი, მადლიერი; ცოდვა, ცოდვილი; ძალი, ძლიერი.
2. ზედშესრული სახელნი, დამნიშნველი ვი-

ნაობისა ან საღაურობისა დაბოლოვებთან მარცვლებზედ, ოვანი, ელი; ული, ური; მაგალ. ბარათოვანი, ბარათვანი; დაბოლოვება ელი მიეწერება მხოლოდ სულდამულთა, განა ნივთთა: ური, მაგალ. კასი, კასელი (კაც); კახური (ღვინო); მცხეთა, მცხეთელი (კაც); მცხეთური (პური); ქართლი, ქართლელი (კაც), ქართული (ენა); ღვივი, ღვიკური (თამაშობა); ცფილისი, ცფილელი (ცფილისში მცხოვრები), ცფილისური (ლა-

პარაკი); სომეხი, სომხელი (სომხითი მცხოვრები), სომხური (ყოფაქცევა); კუმისი, კუმისელი, კუმური; რუსთავი, რუსთაველი. აგრეთვე ზედსურული სახელები: ბრძენი, გონიერი, ვერაჯი, რეგვენი მიწურების პირსა გარნა ნიფთსა ბრძნული, გონიერული, ვერაგული, რეგვენული; კეთილშობილი, კეთილშობილური ყოვა ქცევა; თქვენი, თქვენული; თქვენური; ჩემი, ჩემული, ჩემბური.

3. ღამნიშნველნი თვისებისა ან მიჩემებისა შექსდგებიან არსებითა სახელთაგან ბოლოს ღამაცებითა მარცვალთა: იანი. ებანი, ელი, ითი, საგანი, ოვანი, ევანი, იერი, იელი, ითი, ოსანი; მაგალი. წყალი, წყლიანი; ფრთა, ფრთიანი, ფრთიანი; მთა, მთიანი, მთიანი; ზოლი, ზოლიანი, ზოლიანი. კუთხე, კუთხელი; სმა, სმოვანი; ქმარი, ქმრანი; ცა, ციერი; სხელი, სხელივანი; ჩემი, ჩემიანი, შენი, შენიანი; ბუნება, ბუნებითი; ხორცი, ხორციელი; ღლე, ღლეური; ცხენი, ცხენოსანი; თუ, თუბითი; კარავი, კარველი; ქორი, ქორელი; ფესვი, ფესველი, ფიცარი, ფიცრელი; კუთხე, კუთხელი; რიცხვი, რიცხველი, ორირიცხველი, სამრიცხველი, მრავალრიცხველი.

4. ზედსურული სახელნი კუთხილეებითი, რომელიც შექსდგებიან არსებითა სახელთაგან, ნაცვალსახელთაგან, ღმნისხელთა, თანდებულთა, კავშირთა და სხ. თავს ღამითა სა და ნაბოლოვანის სმოვანის ასოსი შეცვლიათ ო; ან ბოლოს ღამაცებითა მარცვალთა: ური, ული, ეული, ეური; ოდი მაგალი. მამა, სამამო; ორმოცი, საორმოცი; პერანგი, საპერანგი (ცილი და სხ.); პასეკი, საპასეკო; ნიადაგი, სანიადაგო; მეფე; სამეფო; ცრელი, საცრელი; ქორწილი, საქორწილო, ღმერთი, საღმერთო, ერი, საერი; ჩემი, საჩემო; შენი, საშენო; გარე, საგარეო; მარადის, სამარადისო; თუ, სათუო; ვაი, სავაიო; თანა, სათანაო; კეთილშობილი, კეთილშობილური; ბრძენი, ბრძნული; აქა, აქაური; იქა, იქაური; კუთხე, კუთხელი; კარავი, კარველი; ზედსურული სახელნი, მაგალი. ბრძენი, გონიერი, ვერაჯი, რეგვენი მიწურების პირთა, გარნა ნიფთათვის ითქმის: ბრძნული, გონიერული, ვერაგული, რეგვენული.

5. ზედსურული სახელნი მსგავსებისა მიიღებენ ბოლოს მარცვალთა: ებრი, ებრივი, ებლივი, ებური, თანა, ური, მაგალი. ლომი, ლომებრი; ჩემი, ჩემებრი; ჩემბური, ჩემებრივი; მისი, მისებრი; დავითისანი, მისთანა, იმისთანა.

6. ზედსურული სახელნი, ღამნიშნველნი ღროისა დაბოლოვებენ მარცვალზედ: დელი, ნდელი, ინდელი; მაგალი. დღევანდელი, დღეინდელი; დღიანდელი, გუშინდელი, წლევანდელი, მაშინდელი.

7. ზედსურული სახელნი მოქმედებითი ჰქნარმოებენ სახელთაგან და სახელღმნისაგან თავს ღამითა ან ან სა და ბოლოს შეცვლიათ ასოზედ ან ღამაცებითა მარცვალთა: ვი, არი, ალი, ები; წერა, საწერი, ხაწერი; მარნვა, სამარნვა, ნამარნველი; ანდრძი, ხანდრძევი; გობა, ნაგობი; შემდგომნი ზედსურული სახელნი ბოლოს მიიღებენ ვარი, არი, მაგალი. მგბარი, შემგბარი.

8. ზედსურული სახელნი განკერძოებითი მიიღებენ ბოლოს მარცვალსა ითი, ბუნება, ბუნებითი; არსება, არსებითი.

9. ზედსურული სახელნი, ღამნიშნველნი მსგავსებისა მიიღებენ ბოლოს მარცვალთა ებრი, ებური,

ებრივი, თანა: ლომებრი, კაცობრივი, ღორებრი, დავითის თანა.

10. ზედსურული სახელნი, ღამნიშნველი მცირედ გაღილებსა ან დაჯინებსა მიიღებენ თავს მო და ნაბოლოვანს სმოვანს ასოს შექსცვლიათ ი ზედ, მაგალი. დიდი, მოდილო; შავი, მოშავო, თეთრი, მოთეთრო; ყვითელი, მოყვითლო; ბრტყელი, მობრტყე; მწარი, მომწარი.

11. ზედსურული სახელნი უკუთქმითნი მიიღებენ თავს უ და ბოლოს შექსცვლიათ ო, ური, ოვო. არი; ბედი, უბედური, უბედო; მართებული, უმართებული; მარჯვე, უმარჯვეო; თავი, უთავრი; დრო, უდროვო; მომართავი, მოუმართავი; მოსული, მოუსვლელი; გასული, გაუსვლელი.

12. ზედსურული ჰქნარმოებენ თანდებულთაგან: მაგალი. გარე, გარეთი; უკანა, უკანასკნელი; წესი, წესილი, სიგან, სიგნითი, აღმა, აღმართი, დაღმართი, უკუღმართი, ჩაღმართი, წაღმართი, გარე, გარესკნელი, ქვესკნელი, წესი, წესილი; უკანასკნელი; წესი, უწესთაესი; გარეთ, გარეთი; სიგნითი, ზემო, ზემოთი; უვემო, უვემოთი.

13. რიცხვითი სახელნი, ა. წესე ბიზითი რიცხვითნი სახელნი შექსდგებიან: რაოდენობითთა რიცხვითი სახელთაგან თავს ღამითა მე, და ბოლოს ე. მაგალი. ორი, მეორე; სამი, მესამე, ოთხი, მეოთხე; ასი, მეასე; ათასი, მეათასე. ამისაგან გამოირიცხება ერთი, რომელიც წესებითად ითქმის პირველი: ბ. შემკრებლობითნი, რომელნიც დაბოლოვებენ ეული, იანი, ეე; მაგალი. ორი, ორიანი; სამი, სამიანი; ერთი, ერთეული; სამი, სამეული; ან ორივე, სამივე; ან ორნი, სამნი, ასნი; ან: წყვილი, ყვარნი, უღელი; ორ-ორი, სამ-სამი; სამ-სამსანი; გ. განწვალუბითნი, მაგალი. მეათედი, მეორემოციედი, მეასედი; ან ნასამალი, ნაოთხალი, ნათალი, ნასალი და სხ.

ამის დაბლა ჰქნანს რომ რიცხვითთა სახელსა აქვს შემდგომი ცუდილოვანი.

ერთი, პირველი, ერთიანი, ერთეული; ერთერი, ერთივე, ორი, მეორე, ორიანი, ორეული, ორორი, ორივე, ორნივე; მეორედი; სამი, მესამე, სამიანი, სამეული, სამსამი, სამივე, სამივე, მესამედი, ნასამალი, ოთხი, მეოთხე, ოთხიანი, ოთხეული, ოთხოთხი, ოთხივე, ოთხნივე, მეოთხედი, ხუთი, მესხუთე, ხუთიანი, ხუთეული, ხუთხუთი, ხუთივე, ხუთნივე, მესხუთედი, ექვსი, მეექვსე, ექვსიანი, ექვსეული, ექვს-ექვსი, ექვსივე, ექვსნივე, მეექვსედი, შვიდი, მეშვიდე, შვიდიანი, შვიდეული, შვიდშვიდი, შვიდივე, შვიდნივე, მეშვიდედი, რვა, მერვე, რვაიანი, რვეული, რვანივე, მერვედი. ცხრა, მეცხრე, ცხრაიანი, ცხრაიანივე, მეცხრედი. ათი, მეათე, ათიანი, ათეული, ათივე, ათიანი, ათათი.

ა გ რ თ ვ ე ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ თ ა .

მე, ჩემი, ჩემიანი, ჩემული, ჩემბური, ჩემებრი; ჩემისთანა, შენი, შენი, შენიანი, შენეული, შენებური, შენებრი, შენისთანა; ის, იმისი, იმისიანი, იმისეული იმისებრი, იმისებური, იმისთანა; თვით, თვისი, თვისიანი, თვისეული, თვისებური, თვისებრი; ჩვენ, ჩვენი, ჩვენიანი, ჩვენეული, ჩვენებური, ჩვენებრი, ჩვენისთანა. თქვენ, თქვენი, თქვენიანი, თქვენეული, თქვენებური, თქვენებრი; თქვენისთანა, იგიანი, ისინი, იმათი, იმათიანი, იმათეული, იმათებრი, მათებრი

მესამე, ზმნანი. არიან შირყელსასხეობითნი, მაგალ. წერა, წოვა, კითხვა, ქსოვა, თლა, ბურძენა და სივანი და წარმოებითნი, რომელნიც შეტყველას დაბოლოვებათა მარცვლებსედეგა, ობა, ვა, ოლა, ილი; ანგვარნი ზმნები ჰსწარმოებენ:

- ა. სახელზმნათვან; მაგალ. ბანა, წარმოებითი ბანება; კვეთა, კვეთება; წოვა, წოვება; კითხვა, კითხვება; ბრძევა, ბრძოლა; ძრწვა, ძრწოლა; წუხვა, წუხილი.
- ბ. არსებითა და ზედსესრულთა სახელთაგან, მაგალ. ნიშანი, ნიშნება ან ნიშნვა; ბიჭი, ბიჭება, ბიჭვა; შიში, შიშვა; ნაღველი, ნაღველობა; თიორი, თიორება; სწორი, სწორება; დიდი, დიდება; ნაურთვანი, ნაურთვანება, პატარა, პატარება; მცირე, მცირება და სხვანი მრავალნი: ორი, ორება; ოცი, გოცება; ასი, გაასება.
- გ. ნაცვალსახელთაგან, მაგალ. ჩემი, ჩემება, თვისი, თვისება; თავი, თავება.
- დ. მიმდრობათაგან, მაგალ. წინადაცვეთილი, წინადაცვეთილება; კითხული, კითხულობა; ცნობილი, ცნობილობა; ცილი, გამოცილილობა; მკითხავი, მკითხველობა, მზომელი, მზომელობა; ყოფა, ყოფლობა; დიდებული, დიდებულება; მწუხარე, მწუხარება; მცაცებული, მცაცებლობა; მჭმუნავი, მჭმუნველობა; მკერავი, მკერველობა; მოღვაწე, მოღვაწეობა და სხ.
- ე. ზმნისზედათა და თანდებულთაგან; მაგალ. ახლო, დაახლოვება; გარე, გარეობა ან გაუვიკარება; ზესთა, ვუზესთაესობა; არა, არაობა; მარტო, მარტოობა; მიმართ, მიმართება; თუ, თუობა.
- ვ. რთული, მაგალ: სახელ-ღება, სახელსვცსლება; გულსმოადგინება, ვიგულსმოადგინება; თავის-დადება, თავს დაფუდება; თავს გამოდება, თავს გამოვიდება; თავის დახება, თავს დახება; თავის დაკურა, თავს დაკურავ; გულის თქება, გულს ვითქვამ; დასხვანი.
- პირველსახეობითა ზმნებთა თავს დაესხიან თანდებულნი, რომელნიც მიჰმცემენ ზმნათა შემდგომთა მნიშვნელობათ:
  - აღ, საზოგადო ლაპარაკში ა. დანიშნავს მოქმედებას, რომელიც აჩვენებს ზეითი მიმართულობას. უმეშვეობითნი ზმნანი, მექონი თავს თანდებულისა აღ, ა ითხოვენ შემდგომ თავს სახელსა თანდებულთა ზედ. მაგალ. აღვიდა მთაზედ; ზირნი ა კიბეზედ; აიღო თავზედ.
  - აღმო, საზოგადო ლაპარაკში ამო დანიშნავს მოძრაობასა შიგნიდამ გარეთ ან დაბლიდამ ზეით; პირველს შემთხვევაში მიიღებს სახელსა თანდებულთა დგან, დამ, მეორეს შემთხვევაში თანდებულთა ზედ; მაგალ. ამოვიდა ორმოდამ; ამოიყვანა ჭიდან; ამოიცანა ბანზედ.
  - გან, საზოგადო ლაპარაკში გა დანიშნავს პირველად შიგნიდამ მოძრაობასა და ითხოვს სახელსა თანდებულთა დგან, დამ; მაგალ. გავალ სახლიდამ; მეორედ გასორებასა საგნისაგან, მაგალ. განრიდება, განრომა; მესამედ, მოქმედების შესრულებას; მაგალ. გათბობა, გაცხელება; მეოთხედ, გასწვრივ მოქმედებასა, ითხოვს სახელსა თანდებულთა დგან, დამ. მაგალ. გაატარეს სიონი ქუჩაზედ; მესხუთ: მოქმედებასა გარდაცემად. ითხოვს განვითარებითა ბრუნებას. მაგალ. გატლიჯა მრავალ ნაჭარად; მიექსე, როდესაც მოქმე-

- დება განშირდება რომელსამე საგანზედ. გამხიარულება და სხ.
- განმო (გამო) აჩვენებს მოქმედებასა შიგნიდამ რისამე, ითხოვს სახელსა თანდებულთა დგან, გან, დამ. გამოვიღე უკერიდამ; გამოვიცან სახლიდამ; გამოვქვანდაკებ ხისაგან და სხ.
- გარდა (გადა), აჩვენებს მოქმედებასა ერთის ადგილიდამ მეორეზედ, მაგალ. გარდავიცან, გარდავსდამ, გარდავქვარ.
- გარდამო, გარდმო (გადმო), აჩვენებს მოქმედებასა მალლიდამ ძირს, ითხოვს სახელსა თანდებულთა დგან, დამ; მაგალ. გარდმოავლო მთიდამ; გარდამოხსნეს ჯვარიდამ.
- გარემო (გარემო) დანიშნავს მოქმედებასა იმრგვლივ, მაგალ. გარემოვალა ქალაქი ზღულითა; ციხეს გარემოვალა ჯარი.
- გარე, დანიშნავს მოშორებასა საგნისაგან, მაგალ. გარემოქცია პირი: ან მოქმედებასა იმრგვლივ; მაგალ. გარემოვლო ქალაქი, გარემოვალა ციხესა.
- და, დანიშნავს: ა. მოქმედებასა ზედპირზედ, ითხოვს სახელსა თანდებულთა ზედა, მაგალ. დაკრა ფიცარზედ, დაქსლა მიწაზედ; დავქსწარა ქალაღზედ; დავსდამ სტოლზედ; გ. განშირებასა მოქმედებისა, მაგალ. დავკვირარ, დავტარებ.
- ზე, ზედა, დანიშნავს მოქმედებასა პირიდამ მალა, მაგალ. ზედავალ, ზედავსდება.
- ზედა, ზედა, დანიშნავს მოქმედებასა ზედპირზედ; მაგალ. ზედავდებ, ზედავსმედეველობა.
- მი, დანიშნავს მოძრაობასა შორეულ საგანზედ, ამას შეუდგება ზმნის ზედა იქ. მაგალ. იქ მიიტანე. იქ წაიღე; შინ მივაღ.
- მო, დანიშნავს მოძრაობასა ახლოს საგანზედ, შეუდგება ზმნისზედა აქ. მაგალ. აქ მოიტანე, აქ მოდი; აგრეთვე მო დანიშნავს მოქმედებასა გარდაცემად, გარემოს ან აქ იქ; მოვკურნი, მოვკვსება.
- მიმო, მიდამ, მიმოა დანიშნავს გარემოს ან აქ იქ მოქმედებასა, მაგალ. მიდამორბენა, მიმოლაქცევა, მიმოაფანტვა.
- ქვე, ქვემო, ქვედა, ქვეშე დანიშნავს მოძრაობასა ძირს, დაბლა, მაგალ. ქვედაცემა; ქვეშემოვდება; ქვედაწევა; ქვედაფენა, ქვედაზიდა.
- უქმ, უქმი, უქმო დანიშნავს წინა აღმდგასა მოქმედებასა, მაგალ. უქმოქცევა, უქმოვდება, უქმვცსდება, უქმრიდება, უქმოვსდება.
- უქ დანიშნავს მოქმედებასა შინაგან, შეუდგება თანდებულთა ში, შინა. მაგალ. საჭი შესხვინეს ეკკლეისაში; ქურდი შეეპარათ სახლში; ან მოქმედებისა აღსრულებასა, მაგალ. შექცერეს; შენძირეს, შელებეს.
- უქმო დანიშნავს ა. მოქმედებასა გარედამ შიგნით, მაგალ. უქმოიყვანა სახლში; უქმოიცანა ეზოში; ან ბ, მოქმედებასა გარემოს რისამე, მაგალ. უქმოაქვარ; უქმოვლობა.
- შთა, საზოგადო ლაპარაკში ჩა, დანიშნავს მოქმედებასა შინაგან რისამე, შეუდგება თანდებულთა ში,



მაგალ. ჩავარდა წყალში; თან ჩაიტანა მიწაში სიმღი-  
ლრე; ჩავიდა ქალაქში.

უთამო, საზოგადო ლაპარაკში ჩამო, დანიშნავს  
მოქმედებას ფეილამ ძირს, მაგალ: ჩამოიყვანა ქალაქში  
უმაწვილი; ჩამოიტანა ბარგი; ძირს ჩამოვიდა.

წარ, წარმო, საზოგადო ლაპარაკში წა, წამო  
დანიშნავს გარემოქცევით მოქმედებას; მაგალ. წა-  
რიგავანა ელჩად; წაიყვანა ცხინვალს; შინ წამოვიდა,  
სიტყვა წარმოსთქვა.

წინ, წინაგან, წინასწარ, წინწა, წინადა დანიშნავს  
წინდასწრებით მოქმედებას; მაგალ. წინა განვიზრა-  
ხავ, წინასწარ-გუპმეცველობ; წინა ვკმძღრობ.

ამთ გარდა არიან მარცვალნი, რომელნიც დავსხმან:  
სიტყვებსა თავად ან ბოლოს; მაგალ. ცა, ფე-ცა; პირი,  
ფე-პირი; დღეინდელი, მო-დღეინდელა დღედმდე; ერთი,  
მი-ერთადმე; უკუნი, მიუკუნიხადმდე; აქა, მოაქამომდე;  
მწუხრი, მი-მწუხრი და სხ.

### V. ლექსთ-თხსულება ან სინტაქსი.

**§ 36.** ლექსთ-თხსულება გამოგვიხატავს კანონებსა სიტყვების თანხმობისა და კარტიკუ-  
ბისა ჰასრში.

**§ 37.** ერთს გამოთქმულს ჰასრისა წერილით, თუ სეპირ ეწოდება წინადადება, თვით  
თვეულს წინადადებაში განიხილვისა სიტყვები:

უფალი ჰასრისა, თხრობილი, ძიება და სხ.

მაგალ. ერთმა ვინმე არისტოტელს; შეიღი მიტგვარა სსსწავლებლად. არისტოტელმან  
სუთასი დრამენი ჰსთხოვა. შეიღის ჰატრონს გაუგვირდა და უთხრა. «მაგ ფასად ერთს ვირს  
ვიყიდიო. არისტოტელმა უმსუსა». იყიდეო და ორი ვირი გუეოლება ერთის მაგიერათო.

**§ 38.** წინადადებასი იქნებან:

ა. მარტივნი, რომელთა აქვსთ ერთი უფალი ჰასრისა და ერთი თხრობილი, მაგალ.  
მოტკვას სარი თიფამ; სართი ჯოჯოხეთს ახათებს; ქათამი წყალს დაღვეს და ღმერთს შექე-  
დავს; ძალი აღმართს ჰსნავს.

ბ. რთულნი, რომელთა ანიან ორნი, სამნი ან მეტსაკლებნი უფალნი ჰასრისა ან თხრო-  
ბილნი, მაგალ. ვარდთა და ნუსეთა ვინადგან მწე ჰსწორედ მოიყიესების, დიდთა და წვრილთა  
წყალთა შენტა ნუ მოტეწიების; ჩემსი დედ მამანი და დამანი მუვიდობით არიან; ივანე და  
გოგია მიღისა და მიიმღერან.

### 1. თანხმობა ლექსთა.

**§ 39.** უპირველესი კანონი ლექსთა თანხმობისა, როგორც მარტივისა, ისე რთულისა  
წინადადებასი არიან:

ა. უფალი ჰასრისა და თხრობილი დაიღებან ერთს  
რიცხვში და ერთს პირში; მაგალ. ბეაურები დაი-  
ხოცნენ, ვირებს დარჩათ მოედანი; ზომიერი ღვინო  
ჭკუას გაგისწორებს, უზომო სხვასაც მოგიშლის,  
არამც თუ ჭკუას; უცხონი გზათა და უსწავლონი  
საქმეთა ჰსცდებიან; ყოველი დაინთქმის სრულიად,  
კეთილის საქმის მეტი.

უენიშნუა. მრავალგვრ მრავლობითის რიცხვის  
მაგიერად დაიღების მსოლოობითი, მაგალ. მადლიერი  
ვართ, უნდა; მადლიერი ვართ; ნეტარ არიან, უნდა ნე-  
ტარნი არიან; სახლოები ანთა, სკამები ჰსდგას.

ბ. უფალი სიტყვა იქმნების არსებითი სახელი,  
ზოგჯერმე ზედშესრული და ნაცვალსახელი; მაგალ.  
სადაც ძალა შევა, სამართალი ბა-ღამ ავა; სამართლით  
მოჭრილი ხელ არ მეტეკნება; ავი რ მაკადრიან, კარგი  
არ მაღირსიან; მაღალი არ მოჰსდრკა, დაბალი ვერ  
შეჰსწვდა; მე შენკენა ვარ, შენ ეშმაკებისაგენ; შენი  
ღუ არა იხარჯელს რა ღვინს ნუ რა ფერი გირჩევნიან.

გ. ზოგჯერმე უფალი ჰასრისა ან თხრობილი  
დაიტევიბის; მაგალ. ჰხანეს და ჰხვა მოუნდათ უცხო-  
სანახვისა; დეი ნაცვალი თვალში ნაცარი, ე. ი. არის;  
კედელს ყური, მინდარს თვალი (აქვს), ქალი მორცხვი,  
ვაჟი ხასი, ქვეყნის ფასი (არის).

დ. როდესაც ორი ან მეტი უფალი სიტყვა ჰზის,  
მაშინ თხრობილი დაიღების მრავლობითს რიცხვში;  
მაგალ. კონსტანტინე და ლევან აღირჩინენ მსაფუ-  
ლად, დათვი და მელა დამოზობილდნენ, მელამ აღუთქვა  
საქმეში შევლა; იოქმის აგრეთვე; სიცოცხლე და  
სიკვილი ბუნებითია; ოქრო და ვეცხლი ქვაზედ  
იცხოზების, მაგრამ ჭკვიანი კაცი ჭკუითაც მწელად  
საცნობია; სწავლა და შრომა სასარგებლოა; პური  
და ღვინო ძველი ჰსწობს, ბაცონი ახალ-ახალი,  
აგრეთვე თხრობილი დაიღება მსოლოობითს რიცხვში,  
როდესაც ორთა უფალთა შორის ჰსწედან კავშირნი;  
ან, თუ, თუნდა და სხვანი. ჰეტრე თუ ივანე ჰსწერს  
წიგნსა.

ე. არსებითი წმენა, მკვლარი თხრობილად იხმარება შემოკლებითად: მაგალ. რკინა მაგარია (არის); ხე მცენარეა (არის); მშური სიყვარული კლისავან უმაგრესია (არის); თაფლი კარგია (არის), მაგრამ ძალის გუდაში ჰსძევს; ავი კაცი აღდგომასაც ავია.

ვ. როდესაც მოქმედებენ პირველი და მეორე პირი ერთად, მაშინ წინადადება დაიდება პირველს პირში, როდესაც მოქმედებენ მეორე და მესამე პირი ერთად, მაშინ წინადადება დაიდება მეორე პირში; მაგ. მე და შენმა მამამ წირვა ერთად მოვისმინეთ; შენ და ფრიდონ მძეხი ხართ.

ზ. სიტყვები, დამნიშნველნი უფლის სიტყვის ვინაობისა, ვითარებისა, თვისებისა, საკუთრებისა და რაოდენობისა, ვითარცა უფალი სიტყვა დაიდებან ერთს რიცხვში და ერთს ბრუნვაში; მაგალ. ავი ძალი თივასა არც თითონა ჰსჭამს არც სხვას აჭმევს; ახალი ცოცხი კარგად ჰტვიცს, ძველი მოატანს ქვიშაში; ზურგ დაგლეჯილი ჯორი ზეცაში გაჭკაჭკს დაინახავს; თვითო გოგრიდან, თითო ქვეუა გამოდის; ჰსჯობს ერთი მოყვარე მრავლის ღირსი, ვიდრე მრავლნი არა რისხმე ღირსნი; ითქმის აგრეთვე: ჩემი ყოველი საქმენი ცოცხიდან: უნდა ჩემნი ყოველნი და სხ. თუ შესვლელის უფალი სიტყვა დაბოლოებული მრავლობითს რიცხვში ები ზედ, მაშინი ზედ შესრულნი და ნაცვალსახელნი, დამნიშნველნი მისს ვინაობისა, საკუთრებისა და რაოდენობისა დაიდებან მხოლოდობითად, მაგალ. ჩემი ამხანაგები; ჩემი მძეხი; თუ სიტყვები, დამნიშნველნი უფლის სიტყვის ვინაობისა, ვითარებისა, თვისებისა და სხ. ჰსხედან უფლის სიტყვის უკან, მაშინ უფალი სიტყვა დაიდების მოკვეცილად და სიტყვები დამნიშნველნი ვითარებისა, ვინაობისა და სხ. დაიდებან ბრუნვაში, რომელსაც მოითხოვს ჰჭარი; მაგალ. პეტრე დიდსა (და არა პეტრესა დიდსა) აუშენებია მშვენიერი ქალაქი პეტრე ბურლი; ირაკლი მეფესა (და არა

ირაკლესა მეფესა) დიდი გმირობა უმქნია ასპინძის ომში; სამართლის წიგნი დედაზარდლისა ბაღესა ჰტავს, ლონიერი ბუზი შიგ გავარდება და უღონო გაეზმის.

ც. არსებითი სახელი, დამნიშნველი უფლის სიტყვის თვისებისა დაიდების ერთს ბრუნვაში და რიცხვში უფლის სიტყვასთან: მეფე ირაკლი; სოლომონ ბრძენი; ივანე მსაჯული; გარნა დამნიშნველი ვინაობისა ნათესაობითს ბრუნვაში; მაგალ. ღორის ცილი ფესზედ დაისვი, მერმე თავზედ გავა; ღუთის სახელითა; ცის მფრინველნი; ერთს ვისმე კალმუხის ქული ესურა თავზედ და ძალიან თავი მოჰსწონდა, ერთმა კაცმა ყურში ჩაურჩულა: ძამიავ, თავი რად მოგჭონსო, ეტ ცჳაი უწინ ცხვარს ეცვაო. ჯერ არა შენიშნულა, თუ უფალი სიტყვა ჰჭის თავსა, მაშინ არსებითი სახელი თავის დაბოლოების გარდა მიიღებს უფლის სიტყვის ბრუნვის დაბოლოებასა; მაგალ. სახელითა ღუთისათა; მფრინველნი ცისანი; ძმასა გიორგი ბატონი შეიღოსასა და სხ.

თ. როდესაც რამთონნიმე სახელნი ჰსხედან ერთად შემეერთებელის ნიშნითა -, მაშინ უკანასკნელი მიიღებს სათანადო ბრუნვის დაბოლოებასა, მაგალ. ბრძოლა მათი იყო ფარ-ხმალ-ისრითა; ქალ-ვაჟნი, ცოლ-ქმარნი; სამოცდა თორმეტთა მხედართა მათ.

ი. ნაცვალსახელი მან და ამისაგან წარმოებულნი ამან (ამ), იმან, (იმ), მაგან (მაგ) თუ უფლის სიტყვის წინა ჰჭის, არ უჰსცვლის დაბოლოებასა, მაგალ. ამ კაცს უთქვამს; თუ ბოლოს ეთანხმების ბრუნვითა უფლის სიტყვას; მაგ. კაცსა ამას უთქვამს. უფალი სიტყვა, დაბოლოებული ნაცვალსახელზედ მან, თუ ვინაობის სიტყვის თავსა ჰჭის, მაშინ ნაცვალსახელი მან ვინაობის სიტყვის უკან დაისმის, მაგალ. ლუარსაბ მეფემან; დავით მსაჯულმან და არა ლუარსაბმა მეფემან, დავითმა მსაჯულმა.

## 2. გარეგნება სიტყვებისა ჰასრში.

### § 40. კასლანი სიტყვის გარეგნებისა ჰასრში აწინა:

ა. თვითოეული წმენა: მოქმედებითი, მიჩემბითი, სხმითარდასვლითი, ხმარებულნი აწმდგომს და ქმნილს უსრულს დროებში საზღვრებითი სქესისა და აწმდგომს დროში სათუოს სქესისა, ითხოვენ უფალსა ჰჭარისა სახელობითს ბრუნვაში და ძიებასა მიცემით ბრუნვაში. მაგალ: ბრიფვი ქვეუს აძაგებს, ის კი ეჭირება; ახალი ცოცხი კარგათა ჰტვიცს, ძველი მოატანს ქვიშასა; ძალი აღმართსა ჰსნავს; ახსაური მჭადს არა ჰსჭამს, მოშიგდება ჰჭირსაც მომჭამს. მონათა შენთა ნუცა ხაყროვანებასა დაჩვევ და ნუცა სიყმილსა; ნაყოფანებასა შეუდგება გინება და სიყმილსა ჰრვა; ქათამი წყლის დაღვეს და ღმერთს შეხედავს; ენა ცბილად მოუბარი გამოიყვანს გველსა ხურელით; გვარიან ცხენი მათრახს არ იკრავს; ერთი ჰქროკინი ჩიციისა გაზაფხულს ვერ მოიყვანს; ურჩი მიუშე ნებასა, თვით შეეურება მცნებასა; ზურგ დაგლეჯილი ჯორი ზეცაში გაჭკაჭკს დაინახავს; განსაცდელი გამოჰსცდის მოყვარესა.

ბ. იგივე წმენბი, ხმარებულნი ქმნილს სრულს დროში საზღვრებითისა სქესისა და ქმნადში სათუოს

სქესისა ითხოვენ უფალსა მოთხრობითს ბრუნვაში და ძიებას სახელობითს; მაგალ. ვირმა პალო მოჰტკლიჯა, ერთი პატრონსა ჰქრა და თორმეტთა თითონ იკრა; ღმერთმან დაფუშოს ეშმაკის მუშა; ირემმა ირემს ბაღანი მოუკითხა და უთხრა. არც მე მაკლიაო, არც შენაო, მაგრამ ერთმან ერთის გულის დაღე ბააო.

გ. იგივე წმენბი, ხმარებულნი ქმნილს უსრულს დროში საღურბითისა სქესისა და ქმნილს სრულსა და უსრულს დროებში სათუოს სქესისა ითხოვენ უფალს მიცემითს ბრუნვაში და ძიებას სახელობითის ბრუნვაში მაგალ. თნას თხა ურჩევიან ათასს სულის ცხვარსა, ვეშაი ასეთს არას ჩაჰყლაპავს, რომ მონგულება არ შეეძლოს; თავსაცილს კაცი არ მოუკლავს, შიმშილს კი დაუხენია.

დ. უფალი და ძიება ბრძანებითს სქესში დაიდების იმავე ბრუნვითა, რომელსაც ითხოვენ დრონი, რომლისაგანაც ჰსწარმოებენ; მაგალ. მცელის აქორე ბიარია, აღორებ ღორია; თუ კეთილი ვერაქნა, ბორცს ნუ იქმ (მღაბ. იქ); ამხანაგი ნუ გმულს. საშავარი ნუ გმურს; ახალ კიტრსა და ახალ ამბავს ძვირად ნუ იყიდი, მალე-

გაიაფლება; ბედი მომეც და სწახვეწედ გარდამავდე; ნუ დაჰსციენებ სხვას გარდასაგნებდა თავსა; ქუდი დაღუ, საშინათლი გასამართლო.

ე. უფალი წინაშე უმეშვეობითა ფმნათა ჰჭის იმავ ბრუნვაში, რომელთაც მოითხოვენ ღრონი მოქმედებითის ფმნებისა; მაგალ. უმაწვილი იცინის, უმაწვილმა გაიცინა, უმაწვილს გაუციინა; ბუჭი ჰბუჭვის, ბუჭმან იბუჭვა, ბუჭს უბუჭვნია; თუ ჭირის უფალი არა ჰსცირის, მოტრალი ვისა აბუღლის მოვავლანეა; ზაქარიამ მთელი ხმელეთი მოველო; რამაზამ ერთს დაღეს მთელი ქალაქი შოიარა.

უენიშნუა. ფმნანი ვალ: ქმნ. სრ. ვედ; ვჭი, ქმნ. სრ. ვჭსჟედ, ითხოვენ უფალსა მხოლოდ სახელობითს ბრუნვაში; მაგალ. თაფლი იყოს, თორემ ბუჭი ბაღდაღამ მოვა; თითოგოგრიდამ თითო ჭკუა გამოღის.

ვ. უფალი წინაშე ვნებითა და ვნებით დაწუებითა ფმნათა ჰჭის სახელობითის ბრუნვაში; მაგალ. ზღვა კოვზით არ დაიღვევ; ან ზღვა კოვზით არ დაილია; გლეხნი კაცის შვილი იზღებოდა, ვირღებოდა; ქალი

იჯდა ბედს ელოდა, ვაჟი იჯდა ბერდებოდა; ბედურები დაიხოცნენ, ვირებს ღარჩათ მოედანი; სესხი და ვალი არ დაბერდებ; ავი მუშა კვირა ძალს განაღოსდებ; ბევრის ცემით რკინაც გატყდებ; ბალი წვერში გამწარდებ; თავი ბურეგში შიმშილით არ მოკვდებ; კოკა წყალზედ გატყდებ, ხარი ქირაზედ მოკვდებ.

გ. უფალი წინაშე ფმნათა თვის ვნებითა ჰჭის სახელობითს ბრუნვაში; მაგალ. თვის ქვესა ხავსი არ მოკვიდებ; საქონელი პატრონს ეგვანებ; უბედურს კაცსა ქვა აღმართში დაეწვეა, ჰანღური მექუჩინება, ართუ მეტყინება; სასჯელს ნუ დაერიდებ.

დ. ფმნანი მესამის უღლივებისა, მექონნი თავს ნაცვალსახელთა მითხოვენ უფალსა მიცემითს დ მიებას სახელობითს ბრუნვაში; მაგალ. სტუმარს სტუმარი ჰსძულდა, მასპინძელს ორიმეე; ვირი რომ ბატონად გვებანდეს ჰარის ნუ ეტყვი; მელას თავისი მარჩობელი უუვარდა; ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა გულსა.

### 3. სმარება ბრუნვათა.

§ 41. სსხელობითი ბრუნვა დაიდების კითხვისა მეტრ: ვინ, რა? მაგალ. ვინა ჰჭის ქვა ზელ? კაცი; რა იღო ქვასელ? წიგნი! სსხელობითი ბრუნვა იმსარების:

ა. შემდგომ არსებითსა ფმნისა ვარ; მაგალ: აქლე მის ქურდი და ნემსის ქურდი ორივე ქურდი - (არის); სწავლა მრავალი - და სიცოცხლე მოკლე - (არის).

ბ. დამნიშნველნი რაოდენობისა, ზომისა და სს. მაგალ. ერთი გირვანქა სათელი; ათი ადლი მაული; ასი თაბასი ქალაღი; ოცი კალათა უურძენი; თორმეც წყვილი წინდა; შვიდი უღელი ხარი.

გ. შემდგომად ფმნათა: ვიცი, ვუწყვი; მხოლოდ დმერთმან უწყვის წინასწარი; ირაკლი მეფემან იცოდა განზრახვა ლეკთა.

დ. შემდგომად ფმნისა ფადათა: ვით, ვითა, ვითარცა, ეგრეთ, როგორც; რეცა, მაგალ. ვითარცა ანგელოზი, როგორ რომ დაძიანა.

2. მოთხრობითი ბრუნვა დაიდების კითხვისა მეტრ: ვინ, რამან? (უემოკლ. რამ); მაგალ. ვინ შექქენა სამყარო? ღმერთმან; ვინ დაიცვა ქალაქი მტრისაგან; სვიმონ მეფემან; რამ დაჰსწო ქალაქი? ცეცხლმა.

3. ნათესაობითი ბრუნვა დაიდების კითხვისა მეტრ: ვისი, რისა? მაგალ. ვისია ეს მამული? ყაფლანინათ; რისა ეს უთი? ხისა.

#### ნათესაობითი ბრუნვა იხმარება:

ა. როდესაც ჰსხედან ორნი არსებითი სახელნი, ერთი მათგანი იქნება უფალი სიტყვა და მეორე, დამნიშნველი უფლის სიტყვის ვინაობისა ან ვითარებისა, ეს უკანასკნელი დაიდების ნათესაობითს ბრუნვაში; მაგალ. ასის წლის ბებრმა იანვარში მარწყვი მოიღომა; თხის თხის ფეხით დაჰკვიდებენ, ცხვარს ცხვრის ფეხით; კაცის თვალი ხარბია.

უენიშნუა 1. შეხედება რომ ვინაობის ან ვითარების სიტყვასა ჰსდევნ სხვანაცა ე. ი. არსებითი სახელნი, ზედსერულნი და ნაცვალსახელნი, თუ ვი-

ნაობის ან ვითარების სიტყვა ჰჭის თავსა, მაშინ არსებითი სახელნი, ზედსერულნი და ნაცვალსახელნი დაიდებან ნათესაობითს ბრუნვაში, თუ ბოლოს, მხოლოდ უკანასკნელი მიიღებენ ნათესაობითის ბრუნვის დაბოლოვებას, სხვანი დარჩებიან მოკვეცილად. მაგალ. ადგილის კურდგელს ადგილის მწვევარი დაიჭირს; ბევრის ხელის ჭირიმი და ცოცა პირისა; გლეხის კაცის ჭკუა თვალშია და არ თავში. სამის ღლის ხბო თავის თავად წყალზედ წავა და დაღვეს; მეფის გიორგის ძმა; ან სასახლე მუხრან-ბატონი-შვილისა; ქონება მამი ჩემისა; ქალაქი პეტრე დიდისა.

უენიშნუა 2. არსებითი სახელი დადებული ნათესაობითს ბრუნვაში საზოგადო ლაპარაკში დაიდება თავს; ცფილისის ქალაქი; ლეღვის ხე; სახლის გამვე, თვალის ჩინი.

ბ. წინაშე არსებითთა სახელთა, მგდართა მოქმედებითს ბრუნვაში: დიდის ლაშქრით; საშინელი სმით; დაისაჯონ მწარის საცანგველითა; შავის კაბით; თეთრის ვბილეთით; შავის თვალით; ერთის მხრით.

გ. შემდგომ ზედსერულთა სახელთა: ღირსი, მსგავსი; მაგალ. ღირსი საჩუქრისა; მსგავსი ლომისა; ითქმის აგრეთვე: ღირსი კაცი; მსგავსი სახე.

დ. წინაშე ან შემდგომ ზედსერულთა სახელთა, მგდართა შედარებითის ხარისხითა, მაგალ. ცისკრის უნათლესი; თვალი მის უამეს ვერას ნახვდა; უმეტეს დავით მეფისა.

ე. შემდგომად რიცხვითთა სახელთა, დამნიშნველთა განწვალეობისა; მაგალ. მესამედი ნაწილი ბაღისა; მეოთხედი ბაღისა.

ვ. დასანიშნველად წელთა, თვითა, ღელთა შეკითხვის უკან: რამთონისა; მაგალ. ასი წლისა; ხუთის თვისა ორმოცის ღლისა.

ზ. შემდგომად ფმნათა; მეშინან, მრცხვენიან. მა-



გალ. ღვთისა არა გეშისიან, კაცისა არ გრცხვენიან.

6. შემდგომად ზმნის ზედათა: ანლოს, მანლობელ, დაბლა, იღუმალ, მალლა, მარგვნივ, მარცხნივ, მაგიერ, ნაცვალად, უმეტეს, უფრო, უწინ, უწინარეს, უკანასკნელ, წინააღმდეგ, საშუალო. აქათ, იქით, შიგ, შიგან, შინაგან; შემდგომად, შემდეგ; შორს, წინასწარ, წილ; მაგალ. მანლობელ ქალაქისა; უმეტეს ყოველთა მოწაფეთა; სახლის მაგიერ; შემდგომად ქალაქებისა; მის განკიდე, მის წილ.

4. მიცემითი ბრუნვა დაიდების კითხვისა მეზრ: ვის, ვისა, რას, რასა? მაგალ. ვიქს რომ მანვილი მიჭსცე და ბორაოც უფროსობა სულ-ერთია; კეთილი რომ ჰქმნა არა კაცი ყურს არ ათხოვებს; ბოროტი რომ ჰქმნა ყველანი ყბად აიღებენ.

მიცემით ბრუნვა იხმარების:

ა. დასანიშნველად წელთა, თვითა, ღვთა, როდისაც ჰსდევს შეკითხვა: როდის, რას დროს; ავი კაცი აღდგომასაც ავია; ავი მუშა კვირა ძალს განაღოსდებს; დეკემბრის ოცსა; ათას რვათ ოთხმოცდა მეორესა წელსა. დილას არე მოვიდა, პეტრე დიღის მეფობასა.

ბ. დასანელოება ადგილთა, თემთა, ქალაქთა, სოფელთა, ოღეს ჰსდევს შეკითხვობა სად. მივალ ქალაქს; ჩავიდა ცვილისს.

გ. შემდგომადან თავსა სხმითგარდასვლითთა ზმნათა, საკუთარი სახელი რომელიც დასარულებს მოქმედებასა; მაგალ. პეტრე კალაგოზს ვაშენებინებ სახლსა; ივანე ალექსიძეს ვაწერინებ წიგნსა.

დ. შემდგომ ზმის ზედათა: ვით, ეზრ, მეზრ; მაგალ. ლომსავით.

ე. არსებითი სახელი მგდარი შეერთებულად სახელზმნასთანა, მაგალ: გულს-მოღვინება; გულს-მოყვანა; გულს დაღება.

ვ. მოქმედებითი ბრუნვა დაიდების კითხვისამებრ: ვით, ვითა? რით, რითა? დანიშნავს ღონის მიღებას ან იარაღსა, რომლითაც აღსრულდება მოქმედება; მაგალ. რითა ჰსწერ წიგნსა? კალმითა; რით ჰფერინავს მფერინველი? ფრთებითა; არისცოცველი რით იყო მდიდარი? სიბრძნითა; დღისით მუშაობს, ღამით ჰსმინავს.

მოქმედებითი ბრუნვა დაიდების:

ა. შემდგომ ზედშესრულთა სახელთა: სავსე, მდიდარი, ჩინებული და სხ. მაგალ. დმერთი სავსეა

მადლითა; ანცონი მდიდარი სიბრძნითა; საღვინე სავსეა ღვინითა; მდიდარი ჰქუვითა; აგრეთვე ითქმის: პირით თეთრი; სახით ღამაზი; მარგვე მიმზნერითა; ბრგვეტუ გონებითა.

ბ. შემდგომად შეკითხვობისა: რითა, საიამ? მაგალ. ზღვით წავიდა, სმელის გზით მოვიდა; სპარსეთით, იერუსალიმით.

გ. შემდგომი ზმნანი, დამნიშნველნი აღვსებისა ან განმდიდრებისა; ამოაგო ქვითკირითა; განამდიდრა მადლითა.

დ. შემდგომად ვნებითა და თვითვნებითა ზმნათა; მაგალ. ირაკლი იღიდა სომხითა; სოლომონ მეფე ქუბული სიბრძნითა; დაითრო ღვინითა; დაშვრა საქმითა.

6. წოდებით ბრუნვა იცნობების კითხვითა: ვინაო, რაო? მუღამ ჰზის ჰაზრში განკერძოვებით: მაგალ. ვიამე, ძამო თარხანო, რა ჰქუაზედ თსლადხანო; ხიზილოლო ზამზილისა ცოცა ჰქაქე, ძამუაო, თვარემ მუცელს შემოგბერავს, ჩემი არა ზრალიაო; ბეზავ, იმაცომ გაკოცებ, რომ კვირი მიცეხო. გამხიარული, ბუხარო, გულ-ჩახოული ნუ ხარო.

7. განვითარებითი ბრუნვა იცნობების კითხვითა: ვინად, რად? მაგალ. დაიდგინა მსაგულად; ეკურთხა მეფედ; დმერთმან შეჰქნა კაცი ხატად და მსგავსად თვისად; მდინარე განიყოფების ოთხ ცოცად; განვიდა მინდვრად.

განვითარებითი ბრუნვა დაიდების:

ა. შემდგომ ზმნათა, რომელნიც დანიშნვენ მიმართვასა სადმდე ან რადმდე. მაგალ: აღვიდა ცად; მოვიდა ქვეყნად; წარმოავლინა სპანი ორბეთის მოსარბევად.

ბ. შემდგომად ზმნათა, დამნიშნველთა სვიღვისა, გაუიღვისა და ნაწილებად დაყოფისა შეკითხვითა რამითონად: გაჰყიდა სამ შაურად, იყიდა ზუთ აბაზად; ქმეზმა მამული გაიყვეს სამად.

გ. შემდგომად ზმნათა, დამნიშნველთა განდომისა, შექმნისა (ვიქმნებ), მაგალ. კაცად განდა, გარდაიქცვა ირმად; დაიდგინა მსაგულად.

დ. სადაობითი ბრუნვა იცნობების კითხვისამებრ: ვისას ან რისას? მაგალ. მამამისას, დედისას, დისას.

4. სმარება თანდებულთა.

§ 42. თანდებულნი დაიდებიან ან სიტყვის თავსა ან ბოლოს შეერთებულად ან ცალკე.

1. თანდებულნი, რომელნიც დაიდებიან სიტყვების თავსა ან ან დაწვდილებით განსმარტებულნი § 32, მესამეს მუხლში.

2. თანდებულნი, რომელნიც დაიდებიან სიტყვის ბოლოს შეერთებულად ან ან:

ა. მთხოვნი ნათესაობითი ბრუნვისა:

გან, მაგალ. ეს რისაგან არის; მიწისაგან; მეფე ღუთისაგან სიანი. და სხ. თანდებული ესე ითხოვს აგრეთვე მოქმედების ბრუნვას, ნანე დაბლა.

და, დამი, დმი, მაგალ. ლოცვა ღუთისადმი; მარიაშისა; ზოგჯერამ ამ თანდებულთა მაგიერად იხმარება მარტო და, მაგალ. მარიაშისა; მამინემისა.

თან, თანა, მაგალ. ამისთანა, მაგისტანა, იმისთანა; ღუთის გულისა თვის, ჰსწუნს მამისათვის; ან შემოკლებით ბაცონთან (ბაცონის თანა); დავითთან (დავითის თანა; თანდებული ესე იხმარების სიტყვის თავსა ცალკე, მაგალ. ზე დახერგული თანა წარსადიწელსა წყალთასა.

თვის, მაგალ. უკუღო ხარი თვისთვის არ იყო,

სხვას ბუფს უტერებლაო; ჰუნს მამისათვის; თანდ-  
ბული თვის შეიცვლება მდაბიურს ლაპარაკში თვის  
ზედ, მაგალ. მარწვა ვჰსჭამო ღოსთინაო (ღოსთის),  
ქურღობა ვჰქნა ხბოსთინაო, ივანესთინ, ზურაბის  
თინ.

ქენ, მაგალ. მივალ ხილისაქენ; თვის მამისაქენ  
იწვეს; მიჭირავს თავი აღმოსავლეთისაქენ.

ქერძ, მაგალ. მის კერძ.

კიდე, კიდეგან, განკიდე, მაგალ. ვისთვის კი-  
დე ჰსტროლა, ვეფხვისტყ. 109; გაუკვირდა მეცად კიდე;  
ქილილა 92; კიდეგან ღიღების თვად სახელისა და  
განკიდე ბოლოს; კიდეგან შეწევნისა; ან შეწევნისა-  
განკიდე.

ბ. მთხოვნი მიცემითის ბრუნვისა:

ზე, ზედ, ზედა, ზედან, მაგალ. უმჯობეს არს  
ქვის საკოდელზედ წოლა უშიშრად. ვიღრე. ოქროს  
ცხედარზედ და შიშით; ავიდა მთის წვერზედა ან შე-  
მოკლებით მთის წვერზე; წყლის პირსა ზედა. შე-  
მოკლებით, წყლის პირზედ; მას ზედ, შემოკლ. მაზედ;

3. თანდებულნი ცალკე მკადარნი შეუერთებლად.

მთხოვნი ნათესაობითის ბრუნვისა.

ამიერ, იმიერ, მაგალ. ამიერ მდინარისა, ლიხის  
მთის იმიერ.

გალმა, გამოღმა; მაგალ. მცკერის გამოღმა;  
თანდებული გაღმა ზოგჯერმე ითხოვს მიცემითსა  
ბრუნვას; მაგალ. წყალს გაღმა გავიდა.

გარდა, გარდაისაღ, თვინიერ, მაგალ. მზი-  
თვისა და ნიშნის გარდა; გარდა ამისა; ღუთის გარდა.

გარემო, გარემოს, გარშემო, მაგალ. გარ-  
შემო ქალაქისა.

გარღიგარღმო, იგურღივ: გზის გარღიგარ-  
ღმო.

გარე, გარეთ: გარეშე: მაგალ. ქალაქის გა-  
რეთ; გარეშე ღუთისა.

გარეგან, გარედგან, გარედამ, გარედან,  
მაგალ. გარეგან ცაძრისა; გველი გარედამ არის ქრელი,  
კაცი შიგნიდან.

§ 43. შესადგენელად შეკითხვის წინადადებისა იხმარებინ: ხომ, განა, მაგალ. ჩემი ძმა  
ხომ არ გინახავთ; განა რას ამბობენ; ან ითქმის წავიდა? წიგნს კითხულობს? დაუწერია?  
შესადგენელად სათუოს ან საწადისისა წინადადებისა იხმარებინ: თუ, თუსადამე, თუმცადა,  
ღალათუ; უკეთუ, უკეთუმცა; რომ, თურამ; უნდა; ნეტარ, ნეტართუ, ნეტავი; დასამტკი-  
ცებლად თქმულისა: ვე, ც, ცა, მცა, მცადა; ღა, ველა, ღამცა, ო, რე.

5. ნიშანნი ძართლ წერილობისა:

§ 44. მძიმე ჰქნის: საშუალ ორთა წინა დადებათა არ შეერთებულთა კავშირითა ორისა  
ან სამის უფლის სიტყვების შუა, ორისა და სამის თხრობილის სიტყვებისა; აგრეთვე, ორთა  
ან სამთა ვითარებითათა ან თვისებითათა სიტყვათა; აგრეთვე ჰქნის თავსა და ბოლოს წოდე-  
ბითისა ბრუნვისა, წინაშე ნაცვალსახელთა: ვინ, რა, რომელი; და წინაშე მიმდებართა:

წერტილი და მძიმე ჰქნის ბოლოს რამთონისამე  
წინადადებათა.

ორი წერტილი განჭუთავს ორ ნაწილად რამ-  
თონისამე წინადადებასა.

თანდებული ზე ღიღების ცალკეცა, მაგალ. ავრილიანე  
მეფის ზე, ე. ი. ავრილიანეს მეფობასა ან მეფობის  
ღროს.

შინ, შინა, შემოკლებითად ში, შიდ, მაგალ. სახლსა  
შინა, შემოკლ. სახლში; მოყვარე არს ერთი სული  
ორს სხეულში მკვიდრი.

უკან, მაგალ. ზურგს უკან; მასუკან.

გ. მთხოვნი მოქმედებითის ბრუნვისა:

გან, მაგალ. პირითგან, ქალაქითგან. ასო თ, მჯდარი  
მოქმედებითის ბრუნვის ბოლოს მდაბიურს ლაპარაკში  
შეიცვლება დ. მაგალ. ქალაქიდან, პირიდან, ან  
მალრანდვალთიღამ, პირიღამ.

თურთ, ურთ, მაგალ. ძმითურთ, კაცებითურთ, ნა-  
თესავითურთ.

ღ. მთხოვნი საღაობითის ბრუნვისა:

ღმი, ღამი, მღე, მღინ, ღმის, მაგალ. აღმოსავლე-  
თით ვიღრე დასავლეთადმდე; უკუნითი უკუნისადმდე;  
ყელადმღინ, შემოკლ. ყელადმღინ წყალში ჰქნის; სიკუ-  
ღილაღმღინ არ ღამივწყლებით.

ზე, მაგალ. ავრილიანე მეფის ზე.  
თვინიერ; მაგალ. თვინიერ ღვინისა.

მიმართ, მიმართ.

მიერ, მაგალ. პავლეს მიერ; მის მიერ.

პირ-და-პირ, პირის პირ, მაგალ. პირი-და-პირ  
ცაძრისა.

ქვე-ქვეშე, ქვეშე, მაგალ. სამართლის ქვეშე.

წინ, წინაშე, მაგალ. ღუთის წინაშე; წინაშე  
მსაჯულთა.

შორის, მაგალ. შორის ერთა და მღვდელთა.

შუა, მაგალ. ადამიანის პირის კანი ხასვის შუა  
გარსზედ უფრო თხელია და თუ ერთსულ განისა, კამ-  
ბერის ცუფაზედ უფრო გასქელებია და შეიქნება  
ურცხვი.

ზევით ხსენებულნი თანდებულნი იხმარებინ აგრე-  
თვე, ვითარცა ზმნისზედანი: მაგალ. გაღმა გავიდა;  
შინ წამოვიდა; ქვეშ იდვა; ცას ქვეშე; კედელსა და  
კედელს შუა; ცად მიმართ.

წერტილი ჰქნის ჰაზრის შესრულების უკან.

ძველს წერილებში წერტილისა და მძიმის მაგიე-  
რად ჰქნის ერთი წერტილი; ორი ან სამი წერტილი ერ-  
თის წერტილის მაგიერად.

### 6. სასომი ლექსთა.

**§ 45.** სასომი ლექსთა სასოგადოდ აწიან სამგვარნი: პირველს გვაწესა ეკუთვნის ლექსნი, მახვილოვანნი, როდესაც სიტყვები გამოითქმებიან მახვილის შექცევითა, მაგალ. რუსული ლექსები; მეორე, გრძელ და მოკლე მარტულეზიანი, როდესაც თვითთაველს სიტყვას აქვს ერთი გრძელად გამოსათქმელი მარტვალ და სხვანი მოკლე, ვითარც ბერძნულსა და ლათინურს ენებსა, შესაშე მარტულეზიანი, სადაც დაიცვენ მარტვალთა რიცხვთა, როგორც ქართული, სპანსული და სხვანი.

#### ლექსნი ქართულის ენისა განიყოფებიან:

I. წუობილად, რომელთაც აქვს ხუთი მარტვალნი და თვითთაველს ცაეპში ორი ან ოთხი ლექსი, მაგალ.

- |                                  |   |
|----------------------------------|---|
| 1. შეგწირე გული სურვილით წულული  | 4. კეკლუცმა ისრით გამგმირა ისრით,         |
| 2. მაქვს სასოება მომცე მე შეგება | 5. ლამაზი ვარღთ კონა გძღვნი კეკლუცთ მონა. |
| 3. რა ღაგინახე მზედ გამოგსახე;   | 6. გვედრებ საყვარელს მომხედე მე ხელს.     |

ალვალენ ენა გაქებ შეშენა.

ან 1. შავარდნის თვალთა და ბაგე ლალთა მიჯუალერსო ჩემთა შემწყალთა;

2. ვარღმან ბუღბული ცუვე ჰყო დაბმული აწ ესღენ კმა არს სათქმელი სხვა არს.

II. ბაიით ან შეიდ მარტვლოვანი ლექსი, თვითთაველს ცაეპში 4 ლექსი აქვს, მაგალ.

იაღონს ისევარდა, და სუმბულს ისევარდა, თქვა მაისმან მე შენგან დაბმულ ვარ, ისევარდა.

თუთი ლაღობს რაღაწვად მას ვადარნეთ რაღაწვად, ვეჭვე ყუაჩოს უსარის გულსა ჰსინია და ღაწვად.

III. გაფი ან რვა მარტვლოვანი ლექსი თვითთაველს 5 ლექსი, პირველსა სამსა აქვსთ ერთი რიფმა და ორს უკანასკნელ სხვა. მაგალ.

ახალო აღნაგო სულოდა, ედემში აღმოსულოდა, ჩემს ეტლზედ დანერგულოდა სიცოცხლეს შენგან მოველი, უკვიდავება ხარ ცხოველი.

ორის კვირისა მთვარეო, ნათელ ბრწინვალედ არეო, ანგლოზთ მიწუივ მღარეო, სიცოცხლეს შენგან მოველი უკუდავება ხარ ცხოველი. ღმიტრი თუმანიშვილი.

IV. მულამაზი ან ათმარტვლოვანი ლექსი, თვითთაველს ცაეპში აქვს 9 ლექსი, მაგალ.

სევდის ბაღს შეველ შენაღონები, მოკრეფად მსურდა ვარღის კონები, ვარღმან შემრისხა თავ-მომწონები ისარი მტყორცნა დასამონები, სრულიად მიმიღო ყოვლი ღონები, მითხრა იფიქრე გულს ნაქონები, მისთვის იქნები დასაფოვნები. ვერ მივხვდი მახვილ განაწონები, მისთვის შევიქენ ცრემლთა ფონები.

იასა ვკვითხე მუნ იღვა ნაზი, ვარღსა რა უქმენ კართა სარაზი, ამაყად მწყროალი ვცნანე ღამაზი მანცა გამაგლო, გარეგან გაზი, შენგან გვაჩნია გულეღბსა ხაზი სისარულიად დაბლა კერძ დაზი, შენ გულსა ჰკვითხე, მიაჰყარ გაზი, შენის გონებით იქნება რაზი ჩვენ დაგვთმეო და სხვას ემონები.

ბესარიონ სიყრმის დროსა დაჰსტროფოდა ერთს მშვენიერს ქალსა (ვარდი). ქალმა შეჰსწამა სხვის კეკლუცი მიჯნურობა: ამისთვის გული აიყარა და ღვარძლით უარჰყო ბესარიონის სიყვარული. ბესარიონის სატროფოსა ჰყვანდა ორი მეგობარი ქალი. გულწულულმა და დაღონებულმან ბესარიონ მიმართ პირველ ქალსა (იას). ქალმა გამწყროლის გულით უარი უთხრა. განძიებული პირველის ქალისაგან მიმართა მეორე ქალსა (ხარგიზს). თუმც მეორე ქალსა შეეზაღდა და უთხრა ყარბუსა მონაზებითა:

ვარდი მით არის გულდაკლებითა, რომ შენი იყო თავ-დაღებითა, შენ რისთვის დაჰსთმე სხვისა ხლეგბითა, თავი მოჰსწონდა, ჰყვანდი ნებითა, რად გიკვირს განსწორეს ცეცხლ მოღებითა ნაცვალი მოგხვდა დახასოვნები.



როდესა ბესარიონ უიმელო განდა, გამოვიდა და ბაღის კარს დაქვავდა და ჰქუთქა.

დავჭბრუნდი ყოვლგნით შეუბრალოები, ბაღის კარს დავკსევექ შენძალოები, ცრემლით ამევესნეს მწირნი თვალები, ვიყუავ ბედისა დამაბრალოები, ვინც მინაზვიდენ დამაშერალოები, შეიქნებოდნენ ჭირ-ნაკრძალოები; მეც მომხვდა სოფლის მკვლეელი ბრჭალოები მიჯნური სივკაილოს არ ვემალოები, თავი მაქვს მისთვის შენაწონებო.

V. თუჯლიში ან თერთმეტი მარცქლოვანი შიარი, აქვს ცაქუში ოთხი ლექსი ან ექვსი.

1. შენი შაშენი, შავ გალიაში მსხდარნი, სუფთად მხმოზნი, სმა ღარიბად მსტვიზინევი, მჩრობლად მხედნი მით ერთითა პირითა მათებურად სლოგულთ ამატკინანენი.
2. გაზაფხულის შემოსვლისა მხმოზელნი ია ვარდ ზამბახთა მახარობელნი, სხვა ყვავილთა და სხვა ამბავთა მთხრობელნი შავ ხავედ მოსილნი, ქუფურად მბზინანენი.
3. ერთი ერთის მიმდევარნი, ერთ პირნი, ორნი ერთის შესაპყრობად მომზინი, ს. შიშარად შარას თვალს შემაჭვირნი, ხან მოწყენით, ხან ღხენით მლიმარნი.
4. შემოკრბით, მოღითა ვნახოთ ვინ არნი ორნი ცოლნი შავმოსითა მჩინარნი. არ მოწყენით მომდერაღნი, მლიმარნი, ბესიკისა ცრემლისა დამაღინარნი.

ბესარიონ გაბაშვილს უთქვასმ ეს შიარი მშვენიერის ორს შავს თვალხედ.

ან. შე საწყალო, ჩემო თავო, რა იქენ, ქვეყანაში სასაცილო შეიქენ, საითაც გაიქეც, იქით წაიქეც ბოლოს დროს ბედოვლათი შეიქენ; რომელს დავაბრალო ეს რისაგან არის ეს საქმე ჩემის ჭკუისაგან არის.

თითქმის ვიყავ ქვეყანაში ქებული, ჭიქასავით ოქროს ყუთში დებული, ეს რა მომივიდა ახირებული რაც მომიხდა განუსკუგლობით არი. რომელს დავაბრალო ეს რისაგან არი ეს საქმე ჩემის ჭკუისაგან არი.

ზრინჯი ვიყავ. ქერობა რად მიხლოდა, ცრედი ვიყავ მწყერობა რად მიხლოდა მოდი მითხარ ბერობა რად მიხლოდა ვეჭრო ჩემის უბედურის დღისაგან არი, რომელს დავაბრალო ეს რისაგან არი ეს საქმე ჩემის ჭკუისაგან არი.

სათხამა შეინახე შენთანა, საჯინიბოს დააყენე ცხენთანა, ველარ წავა ხონთქართან ყვენთანა. ნაქეზია სუფრაში ჩვენთანა. რომელს დავაბრალო ეს რისაგან არი ეს საქმე ჩემის ჭკუისაგან არი. საეთხამა.

VI. მუსცაზალი ან თოთხმეტი მარცქლოვანი შიარი. რომელსაც ცაქუში აქვს ხუთი ლექსი.

ციერთ ისარნი, მოისარნი ჩვენდა ირენით, ილმენით გულნი ჭირნახუნნი, შეგვიწყალენით, უცნონი თემით. სოფლისა ცემით გავიგარენით, უჭენობნი ვარდნი, ამა დარღით დავიზარენით, არ ითქმის ენით, არცა სმენით, ეს იკმარენით.

VII. შიარი, ან თექვსმეტი მარცქლოვანი შიარი, მექონი ოთხის ლექსისა ცაქუში და თვითოეული ლექსი განყოფილი ორად მაგალო.

ფილოსოფოსნი შემოკრბენ, || ამაზედ ჰქონდათ ცილოზა, ბაცონი კაცსა ასაქმებს, || და ჭკუას გამოცდილოზა, ათასად გვარი დაფასდა, || ათი ათასად ზდილოზა, თუ კაცი თითონ არ არის, || ცუღია გვარი შეილოზა შოთა რუსთველი.

VIII. ჩხრისხული ან ფისკვაური ან ოცმარცქლოვანი ლექსი, თვითოეულს ხანაში აქვს 4 ლექსი, და თვითოეული ლექსი განხყოფების ოთხად:

**წუობილი**, ს. ერთგვარი ქართული ლექსი რომელსაც სტისში აქვს ხუთი მარცვალი; ნახე შიარისტიხს, имѣющій пять слоговъ въ стихѣ; полустишіе.

**წუობილობა**; ს. порядокъ, строй.

**წურთა**, ს. ზომა იდაყვით თითის წვერამღინ; დაწ. 3—1; მაც. 6—27; დარეჯ. 13; локоть (мѣра);

**წურთიული**, ზედ. ერთის წურთის მექონი, имѣющій мѣру въ локоть, მაც. 6—18; ალექს. 2.

**წურთილი**, ს. წირთხელი; косякъ у дверей; 2 სჯული. 6—9; გამოსლ. 12—7; 21—6; ისაი. 57—8; მარტ. 1—11.

**წურთობა**, ს. გიწხვ, досада; (ვქსწურები, -ვერ), ზ. ვ. ვავრისხლები, ვქსჯავრობ, გიწხვანსა, досадовать, сердиться; (ვეწურები, -წვერ), ზ. ვ. ვაჯავრებული ვარ ვისზედმე, сердиться на кого.

**წურთამება** (ვა), ზ. მ. ვავაჯავრებ, ვავაჯულობებ, გიწხვანს, сердитъ; სამ. ვანტ. 34; (ვიწურთამებ, -მე), ზ. ვ. ვქსჯავრობ, გიწხვანსა, ვისრ. 66; 2 ქართლ. 468; მიწურება, онъ сердится на меня

წიგნი, ნ. ქოცი.

წიხვევა, წიხლილი, ნახე წყველა, წყვილი.

წიურვა, წიურვილი, ს. ზ. жажда; (ვქსწერი, ან მწერი, -რა; მეწერი, -რა); ფ. უ. მსურს სმ, жажда; იოან. 4—13; ვისრ. 22: (ვიწურვებ, -ვე); ფ. მ. მწერს, жажда, თუმა არ იწურვებს ცრემლსა, ვეფხ. 758; ე. ი. ცრემლის დაღვრა რაღა ეჭირებოდა, за чѣмъ ему было проливать слезы.

წიურვილი, -რიელი, ზედ. მწერვალე, ვისცე ქსწურის, жажда, იხი. 21—13; 25—5; 53—2; -ქვეანა, земля, нуждающаяся въ водѣ; იხი. 32—2; წიურვილი. ფ. წიურვილით, съ жаждою, ფსალ. 106—32.

წიურტი, ს. ქურტი, სენია რომელიც მრავალს წიურს ასმევს; помыть къ шитью.

კ.

ჭ, არის უხმო ასო, წოდებული ჭარ; რიცხვში ნიშნავს ხუთი ათასს, ფულის ანგარიშში ნიშნითურთ ქ ხუთი ათას თუმანსა; წერილის ფულის ანგარიშში 1000 ფულსა, ან 250 ბისცსა, 100 შურსა, 25 აბახსა, 8 1/2 მარჩილსა, 5 მინალთუნსა; ქარაგ-შიანი ლექსნი: ქ ცი, ქეშმარიცი; ქ ცად, ქეშმარიციად.

ჭ, ზოგჯერმე იხმარების ნაცულად წ ნახე წ, და ზოგჯერმე ნაცულად ჯ, მაგალ. ჭინჭარი, ჯინჭარი; ჭინჭველი, ჯინჭველი.

ჭა (სპარს.), ს. წელიანი ჯურღმული ან ლაკვი, колодець.

ჭაბაკი, ჭაშავი, ს. სასმისი, чаша; იერემ. 52—19. ჭაბუკი (სპარს.), ს. ახალგაზდა ვაჟი; მამიცი, გმირი, юноша, молодой человек; молодець, герой, витязь; დაბად. 4—23; იხი. 20—4; ფსალ. 67—27; მარკ. 16—5; იოან. 27—18; საქმ. 5—6; უჭაბუკესი, ზედ. უმცროსი, младший; დაბად. 29—16, ჭაბუკი, ს. ახალგაზდა ქალი; молодая девица; რუთ. 2—5; 1 ტიმ. 5—11.

ჭაბუკობა, ს. სიჭაბუკე, სიერმე, სიყმაწვილე; მამცობა, გმირობა, юность; храбрость; ვისრ. 30; ვქსჭაბუკობა, ფ. უ. ვქსყმაწვილობა, юнѣть, ვქსჭაბუკელები, ფ. ვდ. ვქსყმაწვილელები, молодѣть.

ჭადრაკი (არაბ.), ს. სამორინო სამღერელი ფიცარ-ზედ ჯვარედელ დაკუთვითლსა, шахматъ.

ჭავლი, ს. დაღალი, მსხვილი ნაწნავი თმათა, коса.

ჭავლი, ჭევლი, ს. მდინარის ციმციმი ჩავრებით, струя, ვეფხ. 834, ენაზედ ჭავლი მოეღება თუ, ერისთ. 2—23; развѣ его языкъ перазвѣжется.

ჭავლი, გურ. вѣтъ, რტო, ბქრ. 184.

ჭავი, ს. სრალი ცხენი ან ვირი, кобыла. [შიცა.

ჭავუნტელი, ს. მცენ. ჭარხალი, свекла, свекло-

ჭალი, ს. ბუჩქნარი, ჯვანარი, ჩირგვანარი, წნორი, წულის ნაპირზედ; ან მცირე ტყე; кустарникъ у прибрежья; солома отъ кукурузы измельчен-ная, ჭალატყე, роща.

ჭალაკი, ს. ჭალი განა კუნელი, кустарникъ на берегу рѣки; остроиъ.

ჭალი, ჭრჭალი, რჭალი, ს. ურმის მანა, колы, спица у телеги; копыль, ჭალეზიანი, მაგალ. ურემი, телега со спицами для возки угля.

ჭამა (სომხ.), სხ. ზდა; (ვქსჭამ, მად. ვქსჭამ), ფ. მ. მივიღებ საზრდელს; ვქსარჯავ ჭამაში; ѣсть, кушать, протѣдать; გამოსლ. 13—7, სრსვილი ჭჭამს ხორცსა, гангрена точеть тѣло; ვქსჭამ თვალე-ბითა, зарится глаза, ჩრჩილი ჭჭამს მუღსა, моль есть сукно; ვქსჭამ ნაღველსა, я провожу время въ скуки; ვისრ. 17; (ვიჭამ, ხორცსა), ფ. უ. ვი-გლეჯ ხორცსა, грызть свое тѣло; რუსულ. 988, გორგ. 1; (ვეჭამ), ფ. მიჩ. შევეჭამ, გავუნადგურებ. обнѣдать кого; (ვაჭამ), ფ. მ. ვაჭმევ, ვაძლევე საზრდოს; давать пищу, кормить; სიბრ. 34; (მჭამს, მჭამდა), ფ. მიჩ. მჭებენს. მღრღნის; грызеть мѣся; мучить мѣся; (მიჭამ), ფ. მიჩ. შემიჭამ მა-გალ. ქონებას, ты тратьши (сѣбѣдешь мое до-ро); (ვიჭმები, ვაჭმე), ფ. ვ. შევიჭმები, გავხარ-ჯები; сѣбѣдаться, ქვექანა ამოთა ვჭმეა, въ мирѣ живуть для удовольствія; ვისრ. 20; (ვეჭმები, -ჭამე), ფ. თვ. საზრდოდ მიველები, ему дозво-ляется ѣсть.

ჭამალი, ს. საჭმელი, საზღელი, სანოვავე; сѣбѣтное, пища, яства, кушанье, მატ. 14—16; მარკ.

ჭამება (ვაჭამებ, -მე), ფ. მ. ვაჭმევ, давать пищу, кормить, ჭამებული, ზედ. გასუქებული საჭმელი-თა, откормленный, ლუკ.

ჭანარი, ს. თევზი; კობრი, გოჭა, карпъ (рыба).

ჭანგა-ბალახი, ს. მცენ. лисохвость, батлачикъ (раст.); ბუნ. ლ; шрей, ერის. ლ.

ჭანგი (სპარს.), ს. კლანჭი მხეცთა ან მონადირეთა მფრინველთა; лана звѣря, птица, когти; ნ. ჭანგი.

ჭანგ-მასვილი, острокоготый; რუსულ. 580;

ჭანგ-მასვილობა, ს. острота когтей; რუსულ. 203; ჭანგინი; ზედ. когтистый; ქილ. 390, ვეა-ვის ჭანგი, მცენ. Гуньба.

ჭანდარი, ს. მცენ. ჩინარი, ძელ-ქუა, чинаръ; რუ-სულ. 210.

ჭანდრაკი, ნ. ჭადრაკი, სიბრ. 170.

ჭანი, ზედ. კანცი, გამხლარი, ჭნავი, ნაღვეა, მოივი, тощій, სახელი ჰობტოს ხალხისა, Дчаны, (народъ).

ჭანვი, ზედ. წმანსი, ჭმანსი, მოჭმანებული ღვინო, кислое вино; ალექ. 1, 187.

ჭანჭალი, ს. წველის პარკი, барышка, надшульт-никъ; Аватом. т. ბუნ. ლ.

**ჭანჭიკვი**, ს. ხის ფარეში, ჭილიბი ჭინჭილაკი, чека у оси, больт, затычка.  
**ჭანჭრობი**, ს. ჭაობი, წყლიანი ადგილი მწვანით და ბუჩქნარით დაფარული, болото, тина.  
**ჭანჭური**, ს. გამხმარი შავი ქლიავი, черешкиш.  
**ჭანჭყალი**, ს. შეკრულის ჭურჭლის ხმა, ррянцание.  
**ჭანჭყარი**, სხ. ხსნივა жидкости: **-რება** (ვა, -რე), ზ. მ. ვანჯღრევე, ვკსთქვეფე, ვკსლღევე; болтать, взбивать жидкость.  
**ჭანჭყაცი**, ს. მცენ. ჩინჩხაცი; берескледь (раст.).  
**ჭაობი**, ს. ჭანჭრობი, წყლიანი ადგილი მწვანითა და ბუჩქნარით დაფარული, болота; **ჭაობიანი**, ზედ. საფლობი ადგილი, болотный, болотистый.  
**ჭაპალი**, **ჭაფალი**, ს. თევზი, рипуха (рыба).  
**ჭაპანი**, ს. თასმებისაგან დაკრებილი თოკი, ღველი, ურმის ცვირთის გარდასაჭირებელი, перевка изъ ремней для связывания поклажи.  
**ჭაპანწყევცა**, ს. მჭიდროობა, тискотия, давка, ივერ. № 1—89, свалка, суматоха.  
**ჭაპი**, ს. ზანღულთა და წალთ შესაკრავი თასმა; ремни у обуви.  
**ჭაპრი**, ს. მფრინვ. суходанль, рыболовь.  
**ჭარბატყლა**, ს. მცენარე.  
**ჭარბება** (ვა), ზ. მ. დავკსლღევ წონაში; დაესძლავ, გარდავჭრევ, გარდავჭმატებ; перетягивать; переспливать; превосходить.  
**ჭარბი**, ს. ნამეტნავი უფრორე წონაში, излишекъ въ вѣсѣ.  
**ჭარბობა**, ს. ილიშქეთი; რუსედ. 911; (ვკსჭარბობ, სრ. არა აქვს); ზ. უ. ნამეტნავი ვარ წონით; быть въ излишествѣ (о вѣсѣ).  
**ჭარბელა**, ს. მცენ. очанка, расторгъ, дубровка (раст.); ნ. ჩ. ლ.; ჰ. ფ. ლ.; зводенъ, ერის. ლ.  
**ჭარი**, **ჭარო**, ს. მფრინვ. суходанль, рыболовь, чайка; ლევიტ. 11—16.  
**ჭარიკი**, ს. კოკის ნახევარი, ნახელრა.  
**ჭარკვანა**, ს. მთაზედ მიხვეული მოხვეული გზა, ვითარცა კლდეზედ წივარნა; извилистая дорога въ горахъ.  
**ჭარლი**, ს. მფრინვ. аякюпъ, зимородокъ.  
**ჭარმაგოსანი**, ზედ. ჭალარა, თმებში თეთრნარევი, сѣдловасий, ვეფხ. 1349, დარეჯ. 50.  
**ჭარმაგი**, **ჭარმაკი**, ს. თეთრზედ შავით დაწინწყკლული ფერი ბეწვეულთა; простѣнна, простѣдъ; ვეფხ. 1349; ვისრ. 200; ზედ. ნაცრის ფერი, сѣрный; ჭარმაგი ჯორი, сѣренькй осель; დარეჯ. 2—147; ჭარმაგი სიყვარული, степенная любовь; ვისრ. 68; **ჭარმაგული**, ზედ. მართებული, степенный; ქილ. 337.  
**ჭარმალი**, ზედ. ჭარმაგი, ჭალარა შერთული; მოხუცი მხნე და სიმართლის მექობნი; сѣдой; бодрый старикъ.  
**ჭარო**, მფრინვ. ნ. ჭარი; ქილ. 490.  
**ჭარცალი**, ს. ენა-მჭვარცალი, ცულის და ღნიოშის მოლაპარაკე, болтуш, зловязчыный, зловязчыннъ.  
**ჭარხალი**, ს. მცენ. свекла; **ჭარხლის მკლავი**, ან ფოთლოი, свекловична; ბოთა; ბუნ. ლ. полевая рѣпа, ერის. ლ.  
**ჭაუპა**, ს. ცული ფეცვი მურწას ჰგავს, дивй боръ (раст.); ბუნ. ლ.

**ჭაუღა**, ს. ნაფოცას გვარი, თევზი; рипушка.  
**ჭაქანი**, **ჭახანი**, ს. ჭიქისა და მისთანთა გატეხის ხმა, трескъ.  
**ჭაქიჭუჭი**, ს. ცკაცი ცკუცი, ჭაქიჭუჭი, трескотия.  
**ჭაქოსი**, ს. მცენ. თუნთის ჭემი; конехвость, ერისთ. ლ.  
**ჭალარა**, ზედ. შავთმაში თეთრ შერთული, сѣдой.  
**ჭალვი**, ს. სათბელი, მოლთ სამარგლავი, коса, серпъ.  
**ჭალი**, ს. ჭოჭონაქი, блокъ.  
**ჭაშა**, ს. თავის ქალი, черепъ, სიბრ. 96.  
**ჭაშაკი**, ნ. ჭაშაკი, შენიშნუა: ჭაშაკი შეცთომით არის, უნდა ჭაშაკი, ე. ი. თავის ქალისაგან გაყეთებული სასმელი, чаша изъ черепа.  
**ჭაშანგირი** (შარს.), ს. თვით მჭურბველი მეფე, самодержецъ, წაათ ცხოვრ. 115; ბიანკ. ლ.  
**ჭაშნიკება** (ვეჭაშნიკები), правиться.  
**ჭაშნიკი**, ს. მცირელი რაოდენობა სასმელისა გემოს გასასინჯავად; пробн панитконъ.  
**ჭაჭა**, ს. დაწურვილის ყურბის ჩენრა, кожуря виноградная послѣ выжимки; 268; ჭაჭაცვრისა ან ბაღე, სამც. 163, ჭაჭის არაუი, ს. подка изъ виноградной кожурь; ჭაჭის არაუი, водка изъ виногр. выжимокъ; სამც. 127; ჭაჭის თხლე, подонки, осадокъ вишней, гуща; ჭაჭა ლულისა, подонки отъ ива. дрожжи.  
**ჭაჭა**, безмолвие, რუსულ. ქ. ლ.  
**ჭაჭა**, ს. იმერულად, თირკმელი ან სუკი; почка.  
**ჭაჭანება**, ს. ჩამიჩუმი, безмолвие, тишина.  
**ჭაჭვი**, ს. ჰეშვი, ორი ზელი მომუჭვილი, ზღუჯი, пригоршня.  
**ჭაჭუა**, ს. ივერ. № 4—8?  
**ჭაჭიჭუჭი**, ს. ჭრიალის ხმა, ჭრიალი, скрипъ.  
**ჭახრავი**, ს. საქანხავი ხრახნილი, ცრელის მოსაჭირებლად ან მოსაშეგებად; щурунъ, тиски; დარეჯ. 150.  
**ჭდე**, ს. დანით ან ცუღით ამოთხრილი ნიშანი ზეზედ; ჩხირი ამგვარის ნიშნებითურთ სახეგარშოდ; парубка, насѣчка; бирка, 1 ქართლ. 126; ანტ. ჭდეს დასმა, насѣкать.  
**ჭდევა** (ვა), ზ. მ. დავკსვამ, ამოვკსჭირი ჭდევა; отмѣчать на валѣхъ, насѣкать. дѣлать насѣчку.  
**ჭდეა**, სხ. კოვია; ჭდევა, (ვკ) ზ. მ. გამოვკვერავ მეცალღსა; დაღულღსმავ; ковать; -ცენსა, ковать лошади; (ვიჭდები, -ღე), ზ. ვ. გამოვიკვერები, быть выковану.  
**ჭდეა** (ვკსჭედ, -ღე), ზ. მ. გავსჭედ, გავსტენ დავკსტეკე; тискать; плотно класть; набить; (ვიჭდები, -ღე), ზ. ვ. გავიტენები, набивается.  
**ჭდეილა**, ს. დაკოლილი ზვანცავი უფრორე საკლავი, холощеный скотъ; -ლორი, боровъ.  
**ჭდეილა**, ს. საცირი, წონაა, ნახე საცირი.  
**ჭდეილი**, ზედ. დაჭედილი, კვერში გამოყვანილი მეცალღი, ფსალ. 97—6; кованый.  
**ჭდეული**, ს. ჭავლი, მდინარის ციმციმი, струя.  
**ჭდეღვა** (ვიჭდეღვი, -ღე), ზ. ვ. თავდაღებით ვკსტეღილა, стараться.  
**ჭენება**, სხ. прыганье, скачка верхомъ; (ვა), ზ. უ. ვკრბი ცხენითა, გავექანები; ვარბევ, ხელსა ვკპრავ; უქუფაღღებ ზელის კვრით, საქმ. 7—27; прыгать



скакать; отталкивать; ანღრ. 49; დლო ზღვის ჭენჭისა, волны от прилива моря; ციმოთ. 15.

**ჭენჭი**, **ჭენჭო**; ს წვეთი მწვადისა, сокъ жареннаго мяса; გამოწურნი, выжимки.

**ჭეო**, ს. კლდე ფიქალიანი, плитная скала, базальты; ჭეოდ, მზ. ფიქალ ფიქალად, плитами.

**ჭერა**, სს. держащие, (ვაჭერ, -ჭერი, მაგალ ხელსა, ფეხსა და სს.), მ მ. ხელ დაჭერე, დავაჭენ, დავჭსკვეც ხელითა ან ფეხით, нажать, придавить рукою, ногою; (ვიჭერ, -ვიჭირე), მ. მ. ვიჭერო, ხელში ვიჭერთავ; შევიჭერო, ხელთ ვივლებ; დავიჭერო, დავიჭინებ; держать; схватить, словить, поймать; заносовать, покорить; панять; შორს ვიჭერ, несоглашаться, отказываться; ხელთ ეჭირა წიგნი, онъ держалъ въ рукахъ книгу, უსმართლოდ ეჭირა მამული, онъ не по праву владѣлъ имъ; ვუჭერ ხელსა, беру за руку; თავს ვუჭერ ცხენსა, удерживаю лошады, (მიჭირავს მიჭირავ), მ. მიჩ. მიჭურავს, ხელში მიჭვირთავს; დამიჭერო, დამიჭინებ; ქირითა მუვს; держать; владѣть; панывать; ფული და უური მიჭირავს, я присматриваю, наблюдаю; ვუფს. 1003; ცხენს არავინ გიჭირვიდა, никто недержалъ твою лошады; ვისრ. 150; ვჭსჭერი ვარ, ვჭსჭეროდი; მ ვ ვჭსჭერობივარ, онъ владѣтъ мною; (მჭერი ხარ, -მჭეროდი), მ. ვ. я владѣю тобою, я держу тебя; სმ. ვსტ. 246; **ჭერილი**, **ნაჭერი**, მიმ. державшій, ნ. ჭირვა.

**ჭერამი** (სომხ.), ს. მცენ. абрикосъ.  
**ჭერი**, ს. სართული სახლისა შიგნიდამ, გარნა გარეგანი არს ერად; потолкъ; ჭსხვოვრებს თავის ჭერს ქვეშე, жинетъ ноги своимъ кровомъ; ჩონგ. 80.

**ჭეპა**, ს. ზაოქი, გვინვა; трескъ, громоной ударъ; (ჭპ), მ. უ. ვჭპრიალებ, ვჭპრვიზავ (ქუხილი); гремѣтъ, производитъ трескъ; ჩონგ. 13.

**ჭეპიანი**, ზედ. გრვინვიანი, громовой, ქილ. 52.

**ჭეშმარიტება**, სს. ნამდვილი სიშართლი, სისწორე; истина; (ვაჭეშმარიტებ, -ტე), ნამდვილად ვამტკიცებ; подтверждать истину; (ვჭეშმარიტებ, -ტე), მ. მიჩ. დავურწმუნებ, подтверждать кому истину; (ვიჭეშმარიტებ, -ტე), მ. მიჩ. დავიჭყვებ, ვირწმუნებ, вѣрить въ истину.

**ჭეშმარიტი** (სომხ.), ზედ. სწორედ შართალი, ნამდვილი, истинный; ჭეშმარიტად, მზ. истинно.

**ჭეშმარიტობა**, სს. სინამდვილე, истина; (ჭპ), მ. უ. ნამდვილ, სწორედ გამოვჭსწნებ, ნამდვილი ვამტკიცებ, დაბად. 21—16; 42—16; (ვეჭეშმარიტებ, -ტე), მ. თუ სწორედ ვწმუნებ, назаться истинным; (ვეჭეშმარიტება), მ. მიჩ. ვერწმუნება, მჯერა, кажется мнѣ истинным; 1 ქართლ. 12.

**ჭეჭება** (ვიჭეჭები, -ჭე), მ. ვ. ვიჭეჭებ, თავს გამოვივლებ, выходить изъ себя; კაცია. 32.

**ჭეჭვა** (ვჭეჭვ, -ვე), მ. ვ. ვჭეჭვოც, ვჭეჭვოც, ვჭეჭვო, смять, раздавить.

**ჭეჭვიცა**, მცენ. берескледъ, ერის. ლ.

**ჭეხა**, სს. ჭეჟა, ქუხილი მენის ჩამოვარდნით; трескъ, громоной ударъ; (ვიჭეხ, -ხე), მ. უ. гремѣтъ, производить трескъ; ცამ იჭეხა, громъ грянулъ;

რუსულ. 990; **ჭეხა-ცემა**, трескъ отъ удара; ლარეგ. 87.

**ჭევაი**, ს. სვილი, მცენ. рожд.

**ჭეღვავა**, **ჭევალი**, ნ. მჭეღვავა, მჭევალი.

**ჭევალი**, ს. მჭევალი, მჭევალი, დგებულობათა შინა გათანგვით ცვილი სხვა და სხვა ადგილს, колотье напр. въ боку; колка; ჭევალი მადგას, въ боку колеть.

**ჭეღვადი**, ზედ. მჭეღვადი, ჭარტლი, ცულისა და ლნიოშის მოლაპარაკე, злослычный, злоязычный.

**ჭეღვადი**, ს. მჭეღვადი, კომლის მური, сажка; копоть; -ლის სუნი, угарь.

**ჭეღვა** (ვეჭვილი), მ. მ. ვაჭეღვ, დაესვამ, ამოვჭსჭერი ჭეღვა; пастыкать, дѣлать пастычку.

**ჭევი**, მცენ. ჭევაი. рожд, ერისთ. ლ.

**ჭევივა** (ვჭსჭევი, -ვე), ნახე ამოჭვირვა.

**ჭევილითი**, ს. ბარჯი, ხოჭი თევზთ საჭერი, багоръ рыболовный; острога.

**ჭევიცა**, **ჭევიცავა**, **ჭევიცა**, ს. მფრინ. завирушка, коноплянка (шпид); ნ. ჩ. ლ კიოცა, ზეფწვია, трясогузка; ზუნ. ლ; სკვინჩა, зяблнкъ, ერის. ლ.

**ჭევიცი**, ს. ფეს საცმლის წვერიან ცხვირი; пось у обуви.

**ჭევირვა**, ს. პროზაუტობა; (ჭსჭევირ), მ. უ. განვალს სინათლე საშუალო წულისა, ბროლისა, მინისა, ნამდვილი პროზაუტობა; ზუნ. კ. 17, ნ. ამოჭვირვა.

**ჭევირი**, ზედ. საშუალო გამჭვირვალე, მჭვირობი, პროზაუტობა, ვუფს. 135. 412.

**ჭევირობა**, ს. გამჭვირვალეობა ან ჭევირვა, მფერა, ცქერა, ეტკ. 41—16; პროზაუტობა; ვრჭხ; ციმოთ. 98; რუსულ. 984.

**ჭევირთა** (ვჭსჭევირ, -რითე), მ. მ. საჭევირთლით ამოვჭსჭერი ხესა, долбить дерево; ვჭსჭევირთ, ვჭევირთ, сверлятъ.

**ჭევირცა**, სს. смотрѣние; (ვჭსჭევირც, ვუჭევირც, ვიჭევირცები, -ცე, -რიც). მ. უ. ვუჭევირ, ვუჭევირებ, смотрѣть, ვრჭხ; ვისრ. 5; ვუჭევირც ვისისამე გზასა, ожидать кого. ვისრ. 128; მჭევირც. смотришь на меня; ვუფს. 95; ჭევირცინება (ვა), მ. სსმ. ვუჭევირცინებ, заставить смотрѣть, ვისრ. 19.

**ჭევირტი**, ზედ. ფული ელამი, შარლი, косоватый; 1 ქართ. 343.

**ჭევირცინა**, ნ. ჭევირცინა.

**ჭია**, ს. ზოგადი სახელი მშრომთა, რომელთაცან წერილთა ეწოდების ჭეუა და ლილთა ზობოლა; გარნა მიწათა და ნეხეთა შინა მზუღათა და მუცლით მავალთა მავალი; червь, ან **ჭიაფერი**, ბუჭეღენდი, кошениль; ორი ცომარა ჭია, два мѣшка кошенили; **ჭია აბრეშუმისა**, червь шелковичная, დასტ. 134; ჭიანი, ნ. ჭიანი, ჭიის ფერი, краска червецъ, карминъ; ქიმ. 265.

**ჭიაკოკონა**, ს. ცეცხლს დაანთებენ ღიღს ოთხშაბათსა და იმაზედ გაღსტებთან; прыгаше черезъ огонь въ среду на страстной; კაცია 112; კავკაზეთი 1856 წ. № 31.

**ჭიანაჭიანი**, ზედ. შეჭმული, დახურული ჭიისაგან; червоточина.

**ჭიანური**, ზედ. ქამანჩა საკრავი, კითარი პალეზიანი, скрипка.

**ჭიანჭყედა**, ნ. ჯიანჭყელი.  
**ჭიაფა**, ს. ჭია, стрелоза, რ. ქ. ლ.  
**ჭიაფანდურა**, ს. ნესვის მზიდავი ან მაგროვებელი ჭია, жукъ павозный.  
**ჭიაფერა**, ს. მცენ. ფერაფერა, ჯამფაზა, жирцаи трава; шипшатъ американскій; ერისთ. ლ.  
**ჭიაფერი**, ს. საღებავი ჭია, ბუქლენდი, кошениль; ჭიაფერი შეღება, красить кошенилью.  
**ჭიაყედა**, ს. ჭუა, ჭია, блевка (червь), ნ. რ. ლ. ან земляной или дождевой червь; ზ. ფ. ლ.; ბუნ. ლ.; -ლას ფეთი, oleum lambricosum; ბუნ. ლექს.  
**ჭიაჭუა**, ს. ღიღინ და წვრილნი ჭიანი მრავლად, черви, რუსუდ. 989.  
**ჭიკო**, ს. ღიღი სარი, მანა შესადმელი ვაზთა, таркальникъ, подпора подъ виноградныя лозы; ვეფხ. 883, ნახე განმ.  
**ჭიღობა**, **ჭიღება**, **ჭიღილი**, სხ. ბორხა; ჭიღილი მუცლისა, ე. ი. უჩუნი, მუცლის გვერმა; ბილ ვხ. желудкъ; (ვა, ან დავჭჭილებ. აღ); ფ. მ. ვარკინება, სევაბამ; заставишь бороться, (ვჭჭიღობ, ფ. უ. ვვარკინობ, ვვარკინები, დავეჭიღები, ბორоться, (ვიჭიღები, -ღე), ფ. ვ. ვირკინები, бить въ боръсь, რუსუდ. 695; (ვეჭიღები), ფ. თვ. ვვარკინები, დავეჭიღები, მოვეჭიღები, ვვსცილობო რისისამე დაჭერას, დაფრობას; бороться; стараться схватить, взять, овладеть. 2 ქართლ. 559; რადგანც აზატხან ერივანს ეჭიღებოდა, такъ какъ Азатханъ старался овладеть Ериванью; 2 ქართ. 450; სამკვიდროდ ეჭიღებოდა, хотѣлъ присвоить себѣ; გულზედ მაჭიღებს. риветъ меня.  
**ჭივიდი** (ვჭჭივი), ფ. უ. ვჭჭივტიკებ, ვჭჭივტიკინებ, чиркать.  
**ჭივჭავი**, ს. მფრინვ. ვორобей, იობ. 40—24.  
**ჭივჭივი**, ნ. ჭივჭივი. [ერისთ. ლ.  
**ჭითაში**, ს. ერთგვარი ფურძენი, сортъ винограда,  
**ჭიიანი**, ზედ. ჭიანი, ხილთათვის: ჭიანჭყამი, червиль; червоточный.  
**ჭიკუსხული**, ს. მცენ. პანტა, კვიჭიჭა; ლხვია გრუპა, ერისთ. ლ.  
**ჭიკჭავი**, ს. მფრინვ. ბელურა, ვორобей.  
**ჭიკჭივი**, **ჭიკჭივი**, სხ. чирканье; (ვჭჭიჭიკიკებ, -კე; ვჭჭიჭიკიკი, ფ. უ. ჟივჯივი მფრინველთა, ან-ჟივჯილის ლაპარაკი, чиркать. жепетать; (ვეჭიკ-ჭიკებ), ფ. თვ. ჟრმთა თვის ველაპარაკები, жепетать съ кѣмъ; რუსუდ. 678; **ჭიკჭიკობა** (ვჭჭი-ჭიკიკობა), იგივე ჭიკჭიკი; ვისრ. 183; ჭიკჭიკება (ვა), ჟრმთა ველაპარაკებ, заставить жепетать.  
**ჭილი**, ს. მალალი მოლი ფართო ფურცლოვანი რომ-ლისაგან მოიქსოვების ჭილობი, სფირიდი, გა-მოსლ. 2—3; იობ. 811; ისაი. 19—6; ამის გვარ-ნი არიან: ლელი, შოლღო, ჩალამგელა, ситникъ, рогозъ (раст.); ქილ. 150; налочникъ узколи-стый, ერის. ლ.  
**ჭილიბი**, ს. ურმის თვლის ჭანჭიკი, чека у осн, блатъ.  
**ჭილო**, ს. ნიორთა და ხახვთა ძირთაგან შენაპრომი ფურცელი, луска, лузга луковныя.  
**ჭილობი**, ს. ჭილოთაგან წნული საფენი, რომლისაცა სეფთას და კეთილს ეწოდება ნეჭა, ცუღსა კელ-მენი, рогожа, циновка.

**ჭილცვა** (ვეჭილცვები, -ვე), ფ. თვ. ვეკრძალეზი, ვერილები, уклоняться.  
**ჭილფავი**, ს. მფრინვ. ლალა, ჭრელი ყვავი, галка.  
**ჭიმბური**, ნ. ჭიმბური; ჭიმბუკი, ნ. ჭინჭილაკი, რ. ლ.  
**ჭიმვა** (ვჭჭიმავე, -მე), ფ. მ. გავართხავ, გავსწევ, გა-ვაკავებ; тянуть, растягивать; натягивать; ჩონგ. 80; ფსალმ. 31—9; ერთგულად ვჭჭიმით ჭაპანი, будемъ усердно тянуть лягу; (ვიჭიმები, -მე), ფ. ვ. გავიშლარებო. გავიჭიმები, тарашиться, вытягиваться; ცუავი იჭიმება, кожа тинется; რას იჭიმები, что ты куражишься.  
**ჭიმი**, ს. კანაფის ავზრა, აღვირი; вожжи, тяжъ у колѣса, მარც. 2—169; ჭიმის აღება პირთა, па-дѣть узду.  
**ჭიმვა**, ს. მიერულად ავი-მავნე, ქართულად აღბ; ლხ-ში.  
**ჭიმონი**, ნ. გულა-სციკირი; воляпка საბ. ლ.  
**ჭიმური**, ს. ბრინჯი ან სხვა მარცვალი მოხარსული და შემდგომ ერბოში მოხარაკული; ან დამცვრეულ პური ერბოში მოხარაკული; сваренный рисъ и т. п., а потомъ поджаренный на маслѣ; куски хлѣба поджаренные на маслѣ.  
**ჭიმჭიმელი**, ს. марсъ (планета).  
**ჭიმჭიმი**, ზედ. წვრილად ჭრელი, нестроватый, საბ. ლ.  
**ჭინახული**, ნ. ჭინახული.  
**ჭინო**, ს. მფრინ. პაკარა კაკაჩა, пилукъ (шт.).  
**ჭინცვა**, **ჭინცვა**, სხ. ზიღება უკანა ცანიდამ, жи-ление, патура при испражнении; (ვიჭინცვებ, -ცე), ფ. მ. ვაზიღებო მუცელში გასაყვანად, позывать къ испражнению; (ვიჭინცვები, -ცე), ფ. ვ. ვირჯებო გარეთ გასვლის დროს; патуживаться, жлпиться.  
**ჭინჭარი**, ს. მცენ. ჯინჭარი, крапива; ჭინჭრის ღე-ლა, глухая крапива, ერისთ. ლ.  
**ჭინჭველი**, ს. ჯინჭველი, муравей.  
**ჭინჭი**, ს. გურ. ძველპეული რამ, ветошь, тряпка.  
**ჭინჭრაქა**, ს. მფრინველი, крапивникъ.  
**ჭინჭილაკი**, ს. ჭილიბი, ურმის თვლის ჭანჭიკი, ხის ფარეში, чека у осн.  
**ჭინჭელი**, **ჭინჭელობა**, -ღება, სხ. споръ; за-доръ. (ვჭჭინჭელობ, ვი-), ფ. უ. ვჭჭინჭელობ, გა-ვეჭიშვლები თამაშობაში; жлпиться, спорить въ игръ; ჭინჭელიანი, ზედ. მოჩხუბარი თამაშობაში, задорный въ игръ, жила; (ვა),  
**ჭიორა**, მცენარე.  
**ჭიორა**, ს. მცენ. куколь (раст.).  
**ჭიორა მარგალიტი**, ს. ფრიად წვრილი მარგალი-ტი, мелкй жемчугъ.  
**ჭიპა**, ს. თევზის მუცელი დამარილული, ღოსი, тешка.  
**ჭიპი**, ს. უპე, пупъ, пупокъ, სკლავისა, заштокъ, подпалекъ; -ქვეყნისა, высота земли, მსაჯ. 9—17, ოთხს ჭიპამდინ, до четвертаго поколѣ-шя; სამ. სამხ. 251; ჭიპის ჩაყარდა; бѣшнъ пупа; ბუნ. ლ. ჭიპის გლეჯა, бить пупа, ბუნ. ლ.  
**ჭირანო**, ს. ორბთა ლუნი; ნ. ცოთმილი.  
**ჭირღებუღება**, ს. ჭირნახული, ნამუშავარი, трудъ, попечение; აღექს. 38.  
**ჭირება** (ვა), ფ. მ. ხელს დავაჭერ, დავსტყვევ ფეხით

пажпмать рукою, ногою, придавливать; ვაჭირებ საქმეს, затруднить дѣло; ვაჭირებ საქმეს; затруднить себя, ალექს. 60; წელზედ ვაჭირებ სარკველსა, стягнуть талию поясомъ; გულზედ მიჭირებს, стѣсняетъ мнѣ груди, давить мнѣ грудь; წაღ მიჭირებს, сапогъ жметъ мнѣ ногу; (ვე), ზ. მიწ. მოვეჭირებ, შევეშარცავ. შევეჭხუთავ, стiaшуть, скрутить, сжать; სიცოვე უჭირებს, морозить; (ვაჭირები, -რე), ზ. შ. შევიცვი, შევიშარცვი, быть обнесены, обтянуты; იეჭეე. 41—16; (ვეჭირები, -რე), ზ. თვ. სახმარი ან საქირო ვარ ვისთვისმე, ვესაჭირავები, быть потребному, необходиму кому; 2 ქართლ. 478; (მეჭირება, -რა), ზ. თვ. მესაჭიროება, მოქენეფარ, მოვითხოვ, იმწებ ყუჯდუ, нуждаться; რუსუდ 381; ჩონგ. 51; შენი თავი მეჭირება, ты мнѣ нуженъ; (ვეჭსირლები, -ლი), ზ. ვდ. საჭიროდ გავუხლები, потребоваться, попадобиться, (მჭირლება, -ლა), ზ. ვდ. потребно мнѣ, надобно мнѣ, (მიჭსირლება, -ლა), ზ. ვდ. მიძნელება, затрудниться, მისი გაშევაბ მიჭსირლება, затрудняюсь его оставить; ქილ. 194.

**ჭირვა** (ვეჭსირ ან ვეჭსირვარ; შ პირ. მრავ. იჭვრენ ან იჭსირვენ); ზ. უ. სენი რამე მჭირს, შესუთვლოვან სენით, ან ზნედ მაქვს; быть одержиму болью, იმწებ. привычку; (ვაჭირავ, -რე), ზ. შ. ვიპყრობ, ვიცვირთავ; დავიჭვირ, არ მივეუშევა; держать; удерживать; ვეფს. 1393; (ვეჭირვი, -ვე), ზ. შ. მოვიჭირვებ; მოვითმენ; თავს გამოდებით ვეჭსცილობ, ვეჭმუშავობ, ვეჭმოღაწეობ; თავს ვიცვენ, შევეჭსწლები; стѣснитъся; терпѣть, сносить; трудиться, потѣтъ надъ чѣмъ, выбиваться изъ силъ; стараться; трудиться, безпокоить себя; тужить, печалиться; ვეფს. 196; 1282; დარეფ. 2—96; ვისრ. 205; (მიჭირავს, მჭერია ან მჭირებია), ზ. შიწ. მიპურია, დაჭერელი მაქვს; держать, занимать; სამ. ვასტ. 168; ჯავრი მჭირს, იმწებ. неувольствие, სახლის ავეჯულობას უჭირავს დიდი ადგილი, мебель занимаетъ много мѣста; კაცი ქირით უჭირავს, онъ держать человека по найму; თვლი მიჭირავს, наблюдаю, присматриваю за кѣмъ; (მჭირმე), ზ. შიწ. ვეჭსწუხვარ, скорблю, იერემ. გოდებ. 1—20; (მჭირს, სრ. მჭირებია), ზ. შიწ. განთვისებით, შესაკუთრებით მაქვს, მაგალი. უბედურობა, სხეულები; ზნედ ან თვისებად მაქვს; я одержимъ болѣзнию, бѣдствіемъ, страдаю; свойственно мнѣ; რა გჭირს, что у тебя болитъ; пашъ какая у тебя нужда; თუ მცირისკან პალი გჭირდეს, если ты угнетенъ врагомъ; რუსუდ. 951; ქეთი საქმენი მჭირანს, я имѣю такое собою; ელიო. 393; მოურავისკან ბევერი პალი მჭირს, я сильно стѣснешъ Моуравомъ; მოურავის სიკელი. 13; მჭირს სიბერე, страдаю старчествомъ; ვეფს. 36; კარგი რამ გჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველი, ვეფს. 1169; თქვენგან გეჭირს უველიო კარგი, всѣмъ хорошимъ мы обязаны вамъ; ვეფს. 1576, **მჭირავი**, **მჭერი**, державшій, **ნაჭერი**, державшій.

**ჭირვება**, სს. შეიწრება, შეჭირვება; სენი, სხეულეობა; 2 ნეშტი. 7—14; ალექს. 7; гнетъ, пасиціе; зараза, болѣзнь; ისაი. 11—13; ლუკ. 3—14;

ბუნ. ლ.; (ვაჭირვებ, -ვე), ზ. შ. შევიწრებ, შევეწრებ, притѣснить; რუსუდ. 743, 919; (ვაჭირვებ, -ვე), ზ. შიწ. მოვითმენ, დავიღვნობ, терпѣть, сносить; ვისრ. 122; (ვეჭირვები, -ვი), ზ. თვ. ვეჭირები ან ვეჭსწუხვარ; нуждаться; тужить, грустнѣть; ვისრ. 33; მეჭირვება, მეჭირება, уждаться, ან ძნელს მდგომარეობა ში ვარ, находиться въ трудномъ положеніи; (მაჭირვებ, -ვი), მაწუნებ, безпокоить мени; 2 სჯული. 28—57; ვისრ. 175; ანდრ. 121.

**ჭირვეულება**, სს. კაჟივლ, задоръ въ пьянствѣ; (ვე), ზ. უ. ვანხლობ, გულზედ მოვიღვიარ მთვროლობაში, задорить въ пьянствѣ, ერისთ. 126, ерыжнпчать.

**ჭირვეული**, ზედ. შეწუნებული, ვენებული; მდაბ. მოუსვენარი სიმთვარეული, გალექებული, страждущій, бѣдствующій; задорный въ пьянствѣ; ერისთ. 2—157; ვისრ. 80; 122.

**ჭირი** (სპარს.), ს. განსაცდელი, უბედურება, მწუხარება; სენი, სხეულეობა, საცვივარი; მომსერელი სენი, სება, ეამი; горе, несчастіе, бѣда, напасть; болѣзнь; зараза, моровая язва, чума; შავი ჭირი, черная помощь, ვეფს. 216, რუსუდ. 980; ჭირად, ზ. შ. ძნელად, трудно, опасно; ვეფს. 872; ჯირად არ მიჩნდა, дѣя мѣя это не составило особаго труда; ვეფს. 317, უნებურს ჭირს შევემთხვიე, я попалъ поневолю въ бѣду; ჭირის ნახვა, испытать несчастіе; შენი ჭირიმე, сдѣлай мнѣ милость, пожалуйста; შენი ჭირის სანაცულო წაილო ან გახდა ან შეიქმნა, онъ умеръ, т. е. онъ взялъ съ собою твои невзгоды; ეარამ. 84; ალექს. 207; დავრ. 53; **პროხისჭირი**, язва рогатаго скота; თუ არ გინდოვს ჭირიო, გათაღე ჩხირიო; если ты не желаешь важить бѣду (отъ праздноствіи), то отъ бездѣлны тѣши хотѣ палочку; ერისთ. 265; **ჭირიანი**, ზედ. ჭირის მექობნი, приносящее несчастіе, заразу; **ჭირიანობა**, ს. მომსერელი სენის დრო, ეამიანობა, чумное время, зараза; ჭირის დღე, ე. ი. შავი დღე, черный день; სამ. ვასტ. 55; ჭირის უფალი, ს. მკვდრის პატრონი, მგლოვიარი; близкій родственникъ покойника; душеприкащикъ; ვისრ. 178; დასტ. 120; **ჭირისუფულობა**, ს. მკვდრის პატრონობა, ვისრ. 198; исполненіе, забота по покойникъ; ჭირ მრავლობით მაგალი. ნაღვანი, тяжкими трудами приобрѣтенное; ციმოთ. 10; **ჭირნახალი**, ზედ. ჭირის გარამხედელი, идержавшій чужую заразу; **ჭირნახული**, ს. ნაშრომი, ნამუშავარი, ნაღვანი; გამოვლილი ჭირთა და შრომათა; მსოფლიონი უხმობენ ნახავს და მისსა მოსავალსა; благоприобрѣтенное трудомъ; понеченіе, стараніе; перенесенный трудъ; трудъ земледѣльца: паханіе, уборка; урожай; ვეფს. 1195; 1313, სამ. ვასტ. 246; რუსუდ. 755, 910; **ჭირნახულობა**, ს. ღვაწლი; ნამსახურობა; трудъ, забота; заслуга; აღბ. სამ. 72, 175; სამ. ვ. 217; (ვე), ზ. უ. ვიღვწი, трудиться, нещпись; სამ. ვასტ. 217, 246; ვისრ. 102, 157, **ჭირნახულოვანი**, ზედ. ნაღვანი, благоприобрѣтенный, საბ. ლ. **ჭირობა**, ს. бѣдствіе.



**ჭირჩინა** (ჭირჩინის, მიჩნა), ფ. უ. მაწუხებს; тижело, грустно миъ; 1 ქართლ. 29.

**ჭირხლი**, ს. ხეა ზედა თეთრად შეყვნილი ნისლი, шей, ფიზ. 97, 100, ჭირხლი მოეკიდა, зашился.

**ჭირხლიანი**, ზედ. ჭირხლით მოსილი, покрытый ипеемъ.

**ჭიცი**, ს. ცარზედ სვეელი ნასთის ჩანჩუნი: приды пашитая съ руки на веретени.

**ჭიცილოური**, ს. ყურძენი ერთგვარი; сортъ винограда.

**ჭიცილატი**, ნ. ჩითლაფი, პანლური, ипшокъ.

**ჭიციუკა**, ნახე ჭაუკა.

**ჭიციფხვა** (ვიჭიფხვები), ფ. ვ. გავიგლიჯები, ვიჭიფხვები, თავს გამოვიღებ; выходитъ изъ себя, ან ვიჭიციფხვები, натушиваться, падриваться.

**ჭიქა**, ს. შინა ან კაუთაგან გამოდნობილი გამოჭვირვალე ჭურჭელი, გამოცხ. 21—18, 19; ვეფხ. 59, 479, стекло; склянка; бокалъ; ვისრ. 122; **ჭიქა ბროლისა**, бокаль хрустальный, ღარეჯ. 59; **ჭიქიანი**, стеклянный.

**ჭიჭილა**, ს. მცირე შინის ჭურჭელი, склянка.

**ჭიჭინა**, ს. ჭიჭინა მწერი, сверчокъ.

**ჭიჭინი**, სხ. ჭრეჭი ან სმიანობა; цырюкать (о сверчкахъ).

**ჭიჭიციანა**, **ჭიჭიციანა**, ს. ნახერცი, екважина.

**ჭიჭლა**, ს. მცირე საღვინე, небольшой винный кувшинъ.

**ჭიჭლაფას ფხალი**, ბაქრ. 179.

**ჭიჭნაური**, ს. აბრეშუმი, шелкъ, ეზეკ. 16—13.

**ჭიჭნაუსტი**, ს. სიჭრელე, нестрота; იეზეკ. 16—13.

**ჭიჭრიციანა**, ნ. ჭიჭრიციანა.

**ჭიჭრეინა**, ს. ქარსალა, პლატი, წურილი თევზი; корюшка.

**ჭიჭრეინი**, სხ. ღორთ სმიანობა, крикъ поросять.

**ჭიჭრენა** (-ენი), ფ. მ. ვქსჭმუჭნავ, ვქსჭმულეც, мять, комкать.

**ჭიხეინი**, სხ. ржаніе, (ვქსიხეინებ, -ნე), ფ. უ. ვქსვიხეინებ, ржать.

**ჭიხი**, ს. მოცანილი ცილი, шаносный вошь.

**ჭიხმაური**, ს. კაცი უოვლის გზით გაუწეობელი, человекъ неустроенный.

**ჭიხჭიხი**, სფ. клокотаніе, (ვქ), клокотать.

**ჭკა**, ს. პატარა ჭილეფი, птенецъ галки.

**ჭკადლა**, ს. სოკოა ერთგვარი, родъ грибовъ.

**ჭკანტი**, ს. თითის გაწევის სმა, шелканіе пальца.

**ჭკანჭკადა**, მცენარე, სპ. ლ.

**ჭკვალი**, მცენ. шарлотъ (лукъ).

**ჭკვიანება** (ვა), ფ. მ. ჭკუას, გონებას მოვიყვან; ვამშვიდებ; образумлять; укрощать, унимать; (ვქსჭკვიანებ, -ლი), ფ. ვდ. ჭკუას, გონებას მოვალ; ღვექსშვიდებ; образумиться, усмириться.

**ჭკვიანი**, ზედ. გონებაანი, умный, **ჭკვიანური**, ზედ. გონიერული, разумный.

**ჭკნარი**, მცენ. Чкпари, ერის. ლ?

**ჭკნობა**, **ჭკნობა** (ვქსჭკნობ, -ჭკნებ; ვქსჭკნები, ვქსჭკნე), ფ. უ. განვქსმები, მაგალ. მცენარე; ვავქსდებ; გავილევი; вшуть; худѣть; სახე მიჭკნება, ვ. ი. ვიღმიჭკები, появляются у меня на лицѣ

морщины; (ვა), ფ. მ. გავსმობ მცენარეს, заставить вшуть.

**ჭკრთილი**, სხ. скрежетъ зубовъ; (ვა), ფ. უ. ვაკრატუნებ კბილსა, скрежетать зубами.

**ჭკუა**, **ჭკუვა**, ს. გონება, გონი, умъ, ჭკუა მოგონებაზედ ჰკილია, умъ состоитъ въ смѣтливости; ჭკუა არ მიჭრის, невдомекъ; სადც არ ვარგა ჭკუაო იქ მოთმინება უნდაო, гдѣ умъ неможеть дѣйствовать, тамъ нужно терпѣіе; ჭკუისაგან შორს არის, ქილ. 21; это неопостижимо; ჭკუა ზედ ახლოს არის, это пошито; ჭკუა გონება, умъ და რაუმъ; ჭკუა დაფანტული, разсѣянный, ჭკუა მყოფელი, ან ჭკუვის მყოფელი, умный, ქილ. 48; ჭკუა მოკლე, педальноумный, სამ. ვანტ. შესავ. ჭკუა ნაკლეები, ს. лишенный разсудка, 2 ქართლ. 285; ჭკუა ნაკლეობა, ს. педальновидность, глуноватость; ქილ. 349; ვეფხ. 759 განმ. ჭკუვის კოლოფი, ს. мудрецъ глушецъ (насмѣшливо), შესავ. მოსეს სამ. ჭკუვიანი ჭკუიანი, ზედ. გონებაანი; მშვიდი, მორჩილი; умный; смиренный, ჭკვიანად, ფზ. разумно; смирно.

**ჭკუცა**, ს. წერილ მსხალი, ნ. ჩ. ლ., мелкая груша;

**ჭკუცა უშქური**, ს. პანცა, მაკალო, кислица, дикая яблоня.

**ჭკუღელი**, ს. წვეილი, парა.

**ჭკუჭკუცა**, ს. მცენ. названіе растенія.

**ჭლაკვი**, ს. უთავო ხახვი, дыбуля, лукъ рѣпчатый и зеленый; ივანე ბატ. ლ. ბუნ. ლ; шарлотъ, ერის. ლ.

**ჭლივი**, ნახე ჩლიქი, ქლიკ გაგებული ცხოველი, животное съ раздвоеннымъ копытомъ.

**ჭლიდეება**, **ჭლიერება** (ვა), ფ. მ. ღავაქლერქებ, вогнуть кого въ чахотку, изнурить; ანტ. 5—3.

**ჭლიდეი**, **ჭლიერეი**, ს. სენი, чахотка, чахоточный.

**ჭლიდექობა**, **ჭლიერქობა**, ს. ქლერქის ავადობა, чахотка; (ვქსქლერქობ, ფ. უ. ბნთь въ чахоткѣ; (ვქსქლერქები), ფ. ვდ. наживаю чахотку.

**ჭმაჭნვა**, **ჭმუჭნვა** (ვქსჭმაჭნი, -ნე; ვქსჭმუჭნი, -ნე), ფ. მ. ცუდად ვჭკვებ, ღვგრუსტავ; смить, комкать; (ვიჭმუჭნები), ფ. ვ. пзяться.

**ჭმანე**, ზედ. წმანი, მჭანე, მოძმარებული; кислый.

**ჭმევა** (ვა), ფ. მ. შევაჭმევ, გამოვჭკვებ, მივქსცემ საზრდელსა, кормить, питать; **ჭმევიანება** (ვაჭმევიანებ, -ნე), ფ. სმ. მივაცემინებ საზრდელს; заставить кормить; (ვაჭმევიანები, -ნე), ფ. თვ. მივცემი საქმელად. даваться въ ипшу кому; მიჭმევიანობს მამული, если и отдашь въ пользунаіе свое имущество; აღბ. 1, 83, მეჭმევიანობ ვანში, если я платилъ ему проценты на проценты.

**ჭმუნება** (ვა), ფ. მ. ღავაღონებ, онечаить; აღბ. 95.

**ჭმუნვა**, სხ. гореваніе, ვეფხ. 107; (ვქსჭმუნვა, -ნე), ფ. უ. ვქსწუხ, ვიურვი; горевать, грустити; ჭმუნვა განმიქრევ, разсѣи мою печаль; ვეფხ. 105; (ვქსჭმუნები), ფ. ვდ. ვქსწუხლები, ვქსწუხვარ, печалиться.

**ჭმუნვარი**, ზედ. მწუნვარე, грустный.

**ჭმუნვარება** (ვქ), ფ. უ. ვქსწუხვარ, грустити.

**ჭმუხვა** (ვიჭმუხვ პირს, -ხე), ზ. უ. დავიდრეჯ პირის სანეს, морщить лице, хмуриться.

**ჭმუნვობა**, ს. грусть, დარეჯ. 109.

**ჭნავი**, ზედ. მჭნავი, ჭნავი, კანტი, გამხდარი, тощій, худой.

**ჭნავი**, ს. მცენ. рибниа; ჰ. ფ. ლ; ნ. ნ. ლ; **ჭნავბა-ლახი**, ს. девятилиникъ; (раст.), дикая, желтая рибница; ივან. ბ. ლ.

**ჭოკრი**, ს. წვრილი ლატანი, товкий жердъ.

**ჭოკრი**, **ჭოკრიცი**, ს. შორ-სათვალე, ღურბინდი, телескопъ, зрительная труба.

**ჭოკრილო**, ს. მწუერის მსგავსი მფრინველი ნისკარტ გრძელი, ჭანჭრობში მზულობი; гаршнекъ, стучникъ, бекасникъ, ერის. ლ.

**ჭოთი**, ს. თხელი ცილო, серишка.

**ჭოღაური**, ს. ერთგვარი ხმალი, шапка.

**ჭოღოკი**, ს. მოკლე სათამაშო გოხი, налочка для игры въ городки или въ чурки.

**ჭოშპო**, ს. წუმპე, тина, лужа.

**ჭონა**, ს. აღდგომის წინა დღეს ყმაწვილები დადიან კარ და კარ გვერცხების მოსაგროვებლად, სიმღერით; ჭონა; როგორც რომ ქრისტეს შობის დღეს აღილოთ; собиране лице бѣдыми пакалуи Свѣтлаго воскресеня Христова, съ особенными иѣсыями; კავ. გაზეთი 1854. №№ 24, 50, 53, 56.

**ჭონი**, ს. მექუდე, ქუდთ მკერავი, шапошникъ.

**ჭონია**, ს. მოკლე ცანისამოსი გურულთა კაცთა წელამდის, куртка у Гурійцевъ.

**ჭოპოსანი**, ს. რკინის იარაღი ზორკლიანი საფეკი ძვალთა ან ხეო, ქლიბი, пашлокъ; терпугъ.

**ჭორება** (ვაჭორებ), ზ. მ. ჭორს მოვკვთქვამ, რასпростраилтъ неправдоподобный слухъ.

**ჭორვა** (ვჭორავ, -რე), ზ. უ. უთავბოლოდ ვროცავ ცუევილსა, შევკვწმანნი ჭორსა; смлетничать, молоть вздоръ.

**ჭორი**, ს. მოგონილი აშავი, вздоръ, вранье, враки, смлетни, **ჭორ-ცრუკუა**, ს. აცუჭუნა, враль, смлетникъ.

**ჭორიკობა**, ს. წარამარა ლაპარაკი, смлетни.

**ჭორკნა** (ვჭსჭორენი), ვჭსჭრი, тлпять, рѣзать.

**ჭორობა**, ს. ცუევილი ლაპარაკი, вздоръ.

**ჭორიკინი**, ს. სვეცის წვერზედ შემოჭობილი ზუბანს, пазъ, фальшь; საბ. ლ.

**ჭორილი**, ს. მოგრძე ჩხირი, длинная спица.

**ჭორიხი**, ს. მღინარისგან შეფერილი ქვიშა და რიყე; ან მღინარე სამცხე სათაბაგოში, რომელიც ერთვის შავს ზღვას; плъ. наносъ; рѣка Чорохъ.

**ჭორცანა**, ს. მცენარე, названіе растенія, ბუნ. ლ. საბ. ლ.

**ჭორცი**, ს. ქვა-კაცი, ანდრიანცი, სტატუა, статуя. საბ. ლ. ისო 7—26; ეს სიტყვა არ იპოვება დაბეჭდილს დაბაღეშში, ამის მაგიერად არის ბორცვი ქვისა.

**ჭორცი**, ს. ხონბის ვარია, цинлеиокъ фазана.

**ჭორფლი**, ს. პირზედ მოშავო ფოლაქები ან ხალეზი, ფერის მჭამელი, неслуха.

**ჭორფლიანი**, -ფლებიანი, ზედ. ხალეზიანი, веснушковатый; **ჭორფლიანობა**, ს. угриватость, (ვჭ), ზ. უ. угривать.

**ჭორხაზარა**, ს. მეჭორე, ჭორის მოქმელი, смлетникъ.

**ჭოცი**, მცენ. фасоль.

**ჭოცი**, ს. ლამის მშობელი, флипвъ; ბუნ. ლ; скопъ, ერის. ლ.

**ჭოლი ჭარხლისა**, სამხ. 91?

**ჭოლონავი**, ს. ქალი, блокъ.

**ჭოჭება** (ვა), ზ. მ. წყალს დავჭლერი, დავჭოჭებ, прудить, проливать воду.

**ჭოჭი**, ს. დჭოჭებული, მრავლად დაღერილი წყალი, лужа.

**ჭოჭი**, **ჭოჭინი**, ს. ჩვილთ საცარებელი ფეხის ასადგმელად; ან საწოლი შთი დაეიდებული, ხოჭიჭი; дѣтскія ходунъ; всякая люлька.

**ჭოჭმანი**, ს. სახელოვნება, სახელი; слава, ვეფხ. 2.

**ჭოჭონაქი**, ს. ჭოლონავი, ქალი, блокъ.

**ჭოჭუა ბალახი**; მცენ. названіе растенія.

**ჭრა** (ვჭსჭრი, ვჭსჭერ), ზ. მ. ვჭკვეთ დანით ან სხვითა იარაღით; ჭრათათვის: გამოვჭკამ; გამოვჭკამებ, გამოვჭკვეთ ქვაზედ; რზავთ, о червяхъ: точить, выѣдать; выѣкать, рѣзавъ па камнѣ, деревѣ; გორგ. 110, ეტყ. 9—10; მეავე კბილსა მჭრის; ჭკუა არ მიჭრის, неопитно для меня; თვალი არ მიჭრის, глазъ мой невидитъ; მუცელში მიჭრის; производить рѣзъ въ животѣ.

**ჭრა მუცლისა**, ს. რზავთ ვიხოტ; поносъ.

**ჭრაქი** (სზარს.), ს. ბაზაკი, სანთი; плошка.

**ჭრელა**, ს. მცენ. ნ. ლუკუფსა.

**ჭრელად**, სხ. ფერად ფერად; нестро; ჭრელად მიწვენება თვალში; двоится въ глазахъ.

**ჭრელება** (ვა), ზ. მ. ჩავფერადებ, შევასმებ ფერად ფერად; нестритъ; нещпрятъ; რუსუდ. 375; (ვჭსჭრელდები), ზ. ვდ. ჭრელი ვაჭსსელები, нестритъ; მარგ. 1—74; ქილ. 321; თვალის წინ მიჭრელდება, у меня нестритъ въ глазахъ; **ჭრელდებალი**, მიმ. нещпренный, გამოსლ. 27—17.

**ჭრელი**, ზედ ფერად ფერადი, შესამებული სხვისა ან სხვის ფერთა; нестри; დაბაღ. 30—39; ეტყ. 16—10, 13; რუსუდ. 883, ჰაქარ. 6—3; მართლად გითხრობ არა ჭრელად (გადვლით); я говорю тебѣ, безъ обиняковъ, а серьезно; ვეფხ. 161; 1483; ჭრელი მანთი, новенькій цѣлковый рубль; ანტონ. 3—8; 6—23; ჭრელის წერა წყალზედა, пустое городитъ, ვარს. 98, ჭრელი ცხენი, нестраи лошади; ჭრელი თვალეები, нестрые глаза; რუსუდ. 732; ჭრელი ლობიო, фасоль нестрий; ერისთ. ლ.

**ჭრელი**, ს. სამლოთო გალობა, церковное пѣние; ჭრელის ნუსხა, ноты; წიგნების სია; ჭრელი გალობისა, ე. ი. ცილო გალობისა, топь, variatia.

**ჭრელიობა**, ს. სიჭრელი, нестрога; ვეფხ. 1490.

**ჭრელ-ჭრული**, ზედ. ფერად ფერადი, нещпренный.

**ჭრიალი**, ს. ყმაწვილთ საჭრიალეული სათამაშო; трещѣтка.

**ჭრიალი**, ს. скрипъ; **ჭრიალება** (ვა), ზ. მ. ჭრიალს ავაფენებინებ, ვაჭრიატინებ; производить скрипъ; (ვჭ), ზ. უ. ვჭსჭრიატინებ; ჭრიალის ხმას გამოვკცემ (კარი მიხსურვის დროს და ურმის თვალი სვლის დროს); скрипѣтъ.

**ქრიანტელი**, ს. მცენ. წითელი მუყავ მხალი, გიგა-  
ლაჟა, рас. шерш. **ქრიკინი**, ნ. ქროკინი.  
**ქრილობა**, ს. ღაჭრილობა, ღაჭენწლილობა, ღაკო-  
ლილობა, გერში, рана, контузия.  
**ქრიონი**, ნ. ქროკინი; სახ. ლ.  
**ქრიჭინა**, ს. ჭიჭინა, сверчок, ბუნ. ლ.; стрекоза,  
ერის. ლ.  
**ქრიჭინი**, ს. ჭრალი, скрывные; (ვჭსჭრიჭინებ,  
-ნე), ზ. უ. ვჭსჭრიღლებ, скривны.  
**ქრისინი**, ს. მფრინველთ შუშინების ხმა, писк  
испугавших птиц.  
**ქროკინი**, ს. სირთ ამოხმინაობა, ჭიჭიკიკი, чир-  
канье; (ვჭსჭროკინებ, -ნე), ზ. უ. ვჭსჭიკიკიკებ, чир-  
кать.  
**ქროლა**, ს. თვალ ჭრელი, нестроглазый; **ქროლა-**  
**თუთა**, ს. ალაჯა, бѣлый плод тутового дерева.  
**ქროლა თვალთბიანი**, сѣроглазый.  
**ქრციალე**, ს. ბრკალი, კაშკაში, ეღვარება, ზინ-  
ვარება, блеск. яркй свѣтъ; ალისა, блеск  
пламени; ქილ. 21, 365; (მჭსჭრციალებს თვალში),  
отъ слѣзнаго свѣта рибитъ мѣхъ въ глазахъ;  
(ვჭსჭრციალებ, -ლე), ზ. უ. ვჭსჭრყინა; блѣстѣть,  
отражать яркй свѣтъ.  
**ქრცინვა**, ს. წუწუნი, вошь, взываніе съ мольбой,  
სვედრებელი ჭრცინვა; вошь мольбы; უღონოთა  
ჭრცინვა მას არ ესმოდა, вошь несчастныхъ ошь  
не слышала, ქილ. 537; (ვჭსჭრცინა, -ნე), ზ. უ.  
ვჭვრცინავ, ვჭბუწუნებ, брызжать; 1 ქართლ.  
257; ან ვჭსჭრუღუნებ, ზეპირად ვიწვრთ რსმე-  
ბორმობა; учить палузеть; დაბად. 24—63; გო-  
ლებ. იერემ. 2—19; ისაი. 10—14; (ვიჭრინცვი,  
-ცე); ვიჭრინცები, -ცე), ვიწუწუნებ, вошійтъ,  
громко взывать.  
**ქრუვი**, ზედ. ფულურო, ან უგულო, ვითარცა რქა,  
ღერწამი, дунловатый, нустонатый.  
**ქრუცი**, ს. თვალ წვრილი და ღრმა; узкоглазый.  
**ქრცქალი**, ნ. ჭალი.  
**ჭუ**, ს. ვეგის ჭიპი, ничка у бабки.  
**ჭუა**, ს. ჭია; ჭიაფერი, ბუეღენდი; червь; кошениль.  
**ჭუბური**, მცენ. каштанъ.  
**ჭუვა** (ვიჭუვი პირსა), хмуриться, წმინდ. ცხოვრ.  
254.  
**ჭუვილი**, სს. წუხილი, скорнь, წმ. ცხოვ. 261.  
**ჭუვნიერი**, მაგალ. გული, ე. ი. მჭმუნვარე გული;  
сокрушенное сердце; 2 სჯული 58—66.  
**ჭუვჭუვი**, სს. ხმინაობა ბაცთა და ისეთა ჭუჭულთა;  
крикъ утятъ, гусятъ; ბუნ. კარი 12.  
**ჭულუმბური**, ბალახწაბლა, жидовская вишня.  
**ჭუმბალობა**, მაგალ. წუალში, плескотня въ водѣ;  
ბუნ. კ. 73.  
**ჭუმუცა**, ს. ურმენია ერთგვარი, сортъ винограда,  
ერისთ. ლ.  
**ჭუმარა**, ს. კუკი, кукла.  
**ჭურვა** (ვი), ზ. ვ. შვეჭურვი, вооружаться.  
**ჭურვილი**, ზედ. შემოსილი საჭურველითა, воору-  
женный.  
**ჭური**, ს. საჭურველი ან აბჯარი, ფსალ. 5—12; და-  
ბად. 27—2; საქმ. 9—15; ჭურჭელი; 1 ქართლ.  
405; დაბად. 14—13; ფსალმ. 2—9; ლევიც.

15—22; ჭური საკუთრად ეწოდების ღვინის ჩა-  
სახმელსა, რომელ არიან: ქვევრი, ქოცო, ხა-  
ლანი, ღერვი, თავკინი, ღაგვინარი, და  
თხიერიცა, მისთვის რომ ცოკჭორა შედგმულ არს  
სიტყვათაგან ციკი და ჭური; оружіе, вооруженіе;  
броня, латы; посуда; сосудъ, кувшинъ вишній;  
ჯაჭვ-ჭური, броня, იერემ. 46—4; ჭური კე-  
ციისა, глиняная посуда; 2 კორ. 4—7; ჭურ-მა-  
რანი, вишній погребъ съ посудой для вина.  
**ჭურიცინა**, ს. მცირე ხანათური, небольшое окно, წ.  
ჯგრიცნა.  
**ჭურმამული**, ს. საძა, ბაქრ. 208.  
**ჭურ რჩეული ენა**, ს. მშვენიერი ღაპარაკი, пизъ  
сканшій разговоръ, рѣчь; ციმოთ. 59, 14  
ანდრ. 4.  
**ჭურჭელი**, ს. ჭური, სახლის ავეჯულობა, იერემ.  
49—29; ვისრ. 166; посуда; გინა განძი, ღარი  
ან ხაზინა, მაგალ. საჭურჭლე, ე. ი. საღარი; со-  
кровище; მჭჭურჭელი უხუცესი, ე. ი. მოღა-  
რეთ უხუცესი, хранитель сокровища; სახენი ჭურ-  
ჭელთა არიან: გუღარავი, ღანკანი, ღამი, სა-  
ღვინე, სასმისი ან წედა, სარწმული, ვაშ-  
კარანი, ხარდახმა, ფუკა, სფირიდი, ჭური,  
საწუთა, მარაგული, ფერი; კვალად ჭურ-  
ჭელთა ქქონან სახელნი ადგილთა, სადაც შემოუ-  
ღათ, მაგალ. ინგლიზი, საქოსნი, ქაშახური, ჩი-  
ნური, რომელთა ფაიფური; მსგავსად სახელნი ჭურ-  
ჭელ თანი დაერქმან მათ ნივთთაგან რომელთაცა  
საცვად იხმარებინან; ვითარ: სანაღმე, სარძევე, სჯ  
ზეთე, სამარილე, საუქვილე, საშქარე, სამძრე და  
სხვანი.  
**ჭუსი**, ს. ვეგის მუცელი, конка у бабки.  
**ჭუსელი**, ჭკუსელი, ს. უღლეული, წევილი, на-  
рѣ, четъ; გარნა ცანწკუსელი, ცალ ჭკუსელი,  
печеть.  
**ჭუსჭუსი**, მაგალ. მუცლისა, бурчаніе въ животѣ.  
**ჭუსჭული**, ს. წიწილა, მართვე ბაცთა, ისეთა, утѣ-  
шокъ, гусепокъ.  
**ჭუსჭვი**, ს. უულო, უწმინდურება, гризь, нечистота.  
**ჭუსჭვიანი**, ზედ. უწმინდური, гризшій.  
**ჭუსჭენა**, ჭუსჭენი, ნ. ჭიჭენა, ჭუსჭუვი.  
**ჭუსჭვა**, ნ. შეჭუსვა.  
**ჭუავილი**, სს. ნ. ჭუივილი; ჯიბე უჭუავის, ჩონგ. 72,  
უ него въ карманѣ пусто; (ვჭჭუვი), ზ. უ. კრ-  
чачтъ.  
**ჭუანცი**, ს. ჭანჭრობი, ჭაობი ადგილი, болото.  
**ჭუაპი**, ს. ცალხიანი ძენძესი, слякоть, гризь.  
**ჭუაპუნა**, ს. ოყნა, клеитиръ, სახ. ლ.  
**ჭუეცა** (ვჭსჭუეც, -უიცი), ზ. მ. თვალთ ღიღად გავ-  
ლებ, открыть глаза, смотрѣть въ оба; (ვა), ოყ-  
ნა, палитъ глаза.  
**ჭუვირება** (ვაჭვირებ, -რე), ზ. მ. ღორს ვაფვირებ,  
заставить кричать свинью.  
**ჭუვირვა** (ვჭსჭვირ), ზ. უ. ღორისავით ვჭვირი  
კრჩაყ კაკუ პოროსენოკ; ანდრ. 48.  
**ჭუვირალი**, ჭუვირილი, სს. კრჩყ სვინი.  
**ჭუვილი** (ვჭსჭვილი), ზ. უ. ვჭსჭროკინებ მფრინველ-  
თათვის; ან ვჭვირი ღორისავით; чиркать; крчачтъ  
(о свинѣ); ჩონგ. 68.  
**ჭუიკ-ჭუიკი**, ს. ჩირკ, чиркъ (птиц).



**ჭყიმა**, ს. მცენ. ჩალამბარა, кушурь (раст.).  
**ჭყიპანცა**, მცენ. погрешка, шелкунецъ.  
**ჭყიუორი**, ს. გურულ. წვიმიანი წელწადი, дож-  
 дливый годъ.  
**ჭყირცი**, ზედ. ლაღი, კანხერი, дерзкій, დარეგ.  
 2—7.  
**ჭყილეცა** (ვკ), ზ. მ. ვკსჭმუჭნი, ვკსრეს, мясь, да-  
 вить.  
**ჭყილინცი**, ს. დაჟეილი ხილი, измятый плодъ,  
 гнилые фрукты.  
**ჭყილხარი**, მცენ. ბაძგარა, падушь.  
**ჭყიონი**, ს. მუხა, дубъ лѣтній, дубъ зимній; ერის. ლ.

**ჭყიორვილი**, ს. თევზის საყურობი, садокъ; საბ. ლ.  
**ჭყიორი**, ს. ბაძგარა, падушь; ერისთ. ლ.  
**ჭყორცოცი**, ს. მცენ. бородатая трава.  
**ჭყორცილეცა** (ვკ), ზ. მ. ვკპრწყინავ. ვკსჭრცილეც,  
 блистать, отражать яркій свѣтъ; ქლ. 277,  
 553.  
**ჭყორცილი**, ს. ჭრცილი, ბრწყინვა. კაშკაში, ელვა-  
 რება, блескъ, яркій свѣтъ.  
**ჭყუმპულაობა**, სხ. წყელში ბანა, купаніе, пле-  
 сканіе въ водѣ.  
**ჭყუმპალა**, მცენ. სოკოა.  
**ჭყურცი**, ნახე წყურცი.

ს, კ.

**ს**, კ. არიან ხმოვანი ასო ქართულის ანბანისა, ანგა-  
 რიში ჰირველი ე. ი. ხ დანიშნავს 6000, და ნი-  
 შნითურთ ხ 6000 თუმანსა ან 60000 რუბლს;  
 მეორე კ დანიშნავს 7000 და ნიშნითურთ კ 7000  
 თუმანსა ან 70000 მანათსა; წვრილის ფულის ანგა-  
 რიში ს, ნიშნავს 1200 ფულსა, 300 ბისცსა;  
 120 შაურსა, 30 აბაზსა, 10 მარჩილს, 6 მანათს;  
 კვ, 1400 ფულსა, 350 ბისცსა, 120 შაურსა,  
 35 აბაზსა, 11 2/5 მარჩილსა და 7 მანათსა, ქარაგ-  
 მიანი ლექსი: ს, ე. ი. სოლო; ს. ზოგჯერმე შეიც-  
 ვლებს კ, ნახე კ, რადგანაც ორთავე ამ ასოთა გა-  
 მოთქმში არა აქვს ცვლილება, ამისთვის შესამო-  
 კლებლად და უადვილებს პოვნისათვის სიტყვანი,  
 იწყებთან ს.  
**სა, სა, სა!** შორისღებული, სიცილის ხმა, ха, ха,  
 ха! ერისთ. 159.  
**საბაზი** (არაბ.), ს. მეპურე. პურის მცხობელი, ხლხ-  
 ნიკ; **საბაზი-უხუცესი**, смотритель надъ  
 хлѣбонаками.  
**საბარდა** (არაბ.), ს. გზა მომეც, поди прочь, дай  
 дорогу, посторонись.  
**საბიძგინა**, ს. ხავიწივით მგბარი რამე, широгъ.  
**საბაზუბა**, ს. ნარჩევი, ცული ხილი; дурные плоды,  
 великая нечиства.  
**საბურზავი**, ს. арбузъ; ერისთ. ლ.  
**სადანი**, მრავლობ. გარყვნილი ლექსია უნდა ღაღო,  
 ღაღონი; მრგ. 215.  
**სადილი**, ს. წვეულობა, სტუმრობა; зовъ; званый  
 вечеръ, обѣдъ; ვეფს. 602; (ვკხადი, ვკხადე); ზ. მ.  
 მოგუწოდებ უადრესთა; მოვიწვევ; звать; пригла-  
 шать; ფსალ. 4—1; ოსეს. 2—14; მხადი, ты зо-  
 вешь меня, მავ. 22—43, 44.  
**სადილობა**, ს. წვეულობა, სტუმრობა, званый  
 обѣдъ, вечеръ.  
**სადუმი** (არაბ.), ს. მოასლე ღვადკაცი, прислужница;  
 ვეფს. 476, 1183, 1234; რუსულ. 169; გარნა არა-  
 ბულად ნიშნავს საზოგადოდ მსახურსა, მოსამსახუ-  
 რეს ქალსა, გინა კაცსა, прислуга.

**სავარცა**, ს. ხასი, ყრღელი, мохъ, ягель, ბუნ. ლ.  
**სავერდი**, **სავედი**, ს. მცენ. бархатникъ.  
**სავერდი**, ს. მახმური, ბოჭკიანი ნაქსოვი, бар-  
 хать.  
**სავილი** (ხავის), ზ. უ. вонть (лисица).  
**სავიწი**, ს. ფქვილი ერბოსა ან ზეთსა შინა მახრაკუ-  
 ლი, мука, поджаренная на маслѣ; блинь,  
 სამზ. 49.  
**სავოიანი**, ზედ. ხაოს ან ბოჭკოს მქონებელი, мши-  
 стый.  
**სავონანი**, ს. ლეღებო, ხშირად ნახუქი, ხაბაძგინა,  
 сладный опреснокъ.  
**სავსი კლდისა**, бородавчатка, ხავსი ხისა, щит-  
 ница; опрость; sticta pulmonacea; ხავსი ქვისა,  
 ქარაგოზა, ягель красноплоный, cladonia con-  
 niscorioides frutes; aut eichen cocciferus; ერისთ. ლ.  
**სავსი**, **მსავსი**, ს. კლდეთა ან ხის ქერქთა ზედა გა-  
 მოსული მთლი თმასვით დაუჭქნობელი, мохъ,  
 ვეფს. 1539; -ადგლი, ჭიბი, тундра, ხავსი, ს.  
 მცენ. ფუთქური, ягель, олений мохъ; ხავსი ის-  
 ლანლისა, мохъ исландскій; ხავსი კედლისა; ли-  
 шай, ან тарчонникъ.  
**საფაზა**, ს. ხავსი, мохъ, ბუნ. ლ.  
**საფაზი**, **უაფაზი** (ხპარს.), ს. ვინც აბრეშუმსა ჰყი-  
 ლის; продавецъ шелка.  
**საფარულა**, ნ. ოქროცოცხა.  
**საფვა**, სხ. черчение, -ქარცისა, чертить карту; (ვკ),  
 ზ. მ. ხაზეს გავაღებ, ან ვკხავე უფერადოდ;  
 чертить, проводить черту, линовать; рисовать.  
**საფი**, сберъ за пастбище со скота.  
**საფვა** (გულზედ მენიზევა), ე. ი. გული მიმსუყ-  
 ლეა.  
**საფი**, ს. ღრამი, წრე, черта, линия, გულის ხაზი,  
 рана сердца, нозд. 121.  
**საფი**, ს. დანაწილი ცმელი, толченый жиръ.  
**საფილი**, ს. სიასმური, соболь, ბუნ. ლ.  
**საფინა** (არაბ.) ს. ლარი, слоноро, განმი; თოფის ან  
 ზარბაზნის ძირი, სადაც სასროლი წამალი ჩაიყრება

ფალის ქვეშ; ეგრეთვე ბადის საღონე ფსკერი; მუ-  
ქურო, казна, сокровище; казна у ружья,  
у пушки; кошель у пехода; ვეფხ. 30.

**საზინადარი**, ს. მოლარე, казначей.

**საზმუზიანი**, ზედ. ზერევერე, переметчивый; -ზი-  
ნობა, ს. თავის ქერქში არ ყოფნა, шито, шн се.

**სათაბლა**, ს. უბედურება, განსაცდელი, беда.

**სათაბანდი**, (სპარს.), ნ. ღოსკოპი.

**სათავეთური**, ზედ. ჩინური, ჩინეთისა, китайский.

**სათავ**, ნ. სათაბლა, ანტ. 2—33.

**სათაია**, ს. ჩინური ფარჩა მძიმედ ნაქსოვი, китай-  
ская шелковая материя.

**სათაური**, ზედ. ჩინეთისა, китайский; -ფარჩა; ჩი-  
тайская шелковая материя, დავრ. 2—123.

**სათრევა** (ვეხატრევი), ზ. მ. სათრს ვუნახვ, ува-  
жать.

**სათრი** (არაბ.). ს. პატივის ცემა, თავაზა, რიდი; ува-  
жение, სათრი არ შეუნახა; онъ не выказалъ уваже-  
ния; **სათრიგვამი** იფავ, будь уверенъ; ფარამ. 378;

კაცია 58; **სათრიანი**, ზედ. რიდის მქონებელი,  
почтительный.

**სათრიოი**, ს. შამთურის დასაღები ზედადარი; та-  
ганъ.

**სათუნი** (ოსმ.) ს. მოქალაქეთ ცოლი, ბანოვანი, дама,  
ვეფხ. 1065, 1438; სიზრ. 160.

**საინი** (არაბ.) ს. მუხანათი, მოლალატე, пэмъникъ,  
2 ქართლ. 526.

**სალო**, **საღსა**, ს. გრძელი ლატანი ხეთავან ხილთ  
ჩამოსარეგვი, шесть для сбиванія фруктовъ съ  
дерева.

**საღათი** (არაბ.) ს. კაბალფენი, სანიჭარი სამოსე-  
ლი, жалованнйй кафтанъ, халатъ.

**საღამზარი**, ს. ხელამზარი, მცირე ზეღელი, жит-  
ница.

**საღანი**, ს. პირფართო ქოთანი, горшокъ.

**საღასი** (არაბ.), ს. წმინდა, გამოზრმენდელი, очи-  
щенный металлъ посредствомъ огня; ოქრო,  
чистое золото; ვეფხ. 1432, დასტ. 122; ვისრ. 90.

**საღაგაური**, ს. ბორკილი, кандалы; ქილ. 252.

**საღბადე**, ს. სამპირი ბადე?

**საღე**, ს. ანძა, ნაქუსი ხომალდისა, мачта.

**საღეზიანი**, ზედ. საღეზის მქონებელი, имъющйй  
пята.

**საღენი**, ს. უნღო მაზარა ლაზლის, შალისა, мпоть,  
снлчч; маптин; ეზრ. 11—37.

**საღვა** (არაბ.) ს. მარტობა, თავის უფლობა, მოცლი-  
ლობა, просторъ, свобода, уедине; ვეფხ. 12,  
310.

**საღვა** (არაბ.), ს. ალფა, თაფლის სანუკვარი, პუნგია;  
халва, сласть приготовленная изъ меда.

**საღვა** (ვკ), ზ. მ. მოვკსალავ, მარცვალი შევკსწვამ  
განურებულს ქურჭელზედ, жарить кофе и т. п.

**საღვა** (ვიხალვი), ზ. ვ. მარტობით ვკსჭუნავ; сгу-  
чать иъ уединеніи, ვეფხ. 12, 310.

**საღვათება** (ვა), ზ. მ. ფართოდ გავკხდი, ძნლათ  
широкимъ, свободнымъ; ფარამ. 316.

**საღვათი** (არაბ.) ზედ. ფართო, შანდაკი, простор-  
ный, широкій, малолюдный; მარტობა, სუბაობა,  
уединеніе, спокойствіе; დაშალეს ქნა საღვათისა,  
г. ი. საიღუმლო რჩევა მოშალესო, оставили тай-

но совѣщаться, ვეფხ. 1005; 1215; საღვათად  
განისვენეთ, რუსულ. 190, насладитесь на про-  
сторѣ, на свободѣ; აბანო საღვათი იუო, иъ ба-  
иѣ былъ просторъ; საღვათი წალა. просторный  
саовгъ.

**საღვათობა**, ს. სიფართოვე, სისაღვათე; просторъ;  
(ვკსაღვათობ, -თე), ზ. უ. თავის უფლად-ვარ, бытъ  
свободнымъ.

**საღვარი**, ნ. ხარვალი.

**საღთა**, ს. ღიდი ჩანთა; сумка, сакъ.

**საღთა-გულა**, ს. ზურგზედ მოსაკიდი გულა, ра-  
печъ.

**საღი**, ზედ. დახალული მარცვალი, жаренный (ко-  
фе); 1 მეფ. 25—18; საღის ფევილი ან საღი ქე-  
რისა, толокно; ნ. ქუმელი, ბუჭონი.

**საღი**, ს. კალატოზთ საზომი, შიმშა, სამართი; пра-  
вило (у каменщиковъ).

**საღი** (არაბ.), ს. ცანზედ ან პირზედ შავი ფოლაქი,  
ვითარცა კალმანის წინწყალი; нитно на телѣ; ро-  
дное пятно, ანტ. 3—53; საღი ჩაფურჩი, пелена.

**საღი**, ნ. საღინა, ანტ. 4—4.

**საღისება** (ვა), ზ. მ. საღისს მივსცემ, пріохотить;  
ქილ. 58; გულს მიხალისებ, поощришь меня;  
ჩონგ. 120; (ვეხალისებ, -სე), ზ. თვ. ვეხეჯითებ,  
пріохочиваться, 2 ქართლ. 89; ვეხალისება, это  
меня пріохочиваетъ, ალექს. 49.

**საღინჭი**, ს. ქორალი, მოგრძე ჩხირი, длинная па-  
лочка.

**საღინი** (არაბ.), ს. მოწინებული ნღობა, охота,  
стараніе.

**საღინი ოქრო**, **წმინდა ოქრო**, чистое, безъ  
примѣсн золото, ვაშლი. 106.

**საღინიანი**, ზედ. მოცლინე, старательный, при-  
лежный; ჩონგ. 145, -ნღობა, любопитство.

**საღინობა**, ს. ხეჯითობა, стараніе, (ვკსაღინობ,  
-სე), ზ. უ. ვკსეჭითობ; стараться.

**საღიფა** (არაბ.) ს. ამირალ-მუმლი, მაგიერი მფლო-  
ბელი; უფროსი შაგირდი, ოსტატის შემდეგ ზედ  
შეღველი; халифъ; старшій ученикъ масте-  
раго, **საღიფობა**, ს. საღიფად ყოფნა, бытъ ха-  
лифомъ, ქილ. 5.

**საღიჩა** (ოსმ.), ს. ნონი, ძოლო; коверъ.

**საღიფაფა**, кашница пшеничная.

**საღვადა**, ზედ. იმრგვლოვ, вокругъ, ქილ. 28.

**საღლა**, ს. ქილ. 5?

**საღლი** (არაბ.), ს. მღაბიონი; народъ; ხალხის ალ-  
წერა, народная перенись; მირ. 97, **საღლიობა**,  
ს. ერობა, народность.

**სამა** (ვკსამ, ჳსამ, ჳსამს; ვკსამდი, სცა ღრონი არა  
აქვს ან სმად ვეფხ. 598; ღარეჯ. 77); ზ. უ. სათა-  
ნაღო ვარ, ვერ ვარ, შევეფურებო, ან შემეფურება,  
ვეერ არს ჩემდა; მიჩნს, მსამა, გსამა, ჳსამა მსამდა ან  
მსამოღა, падлежить подобаетъ мѣхъ, тебѣ, сму;  
ვისრ. 180; ვეფხ. 13, 33, 153; თუ ესე ჳსამდა ვი-  
თა, ე. ი. ეს როგორ შეიძლეობოღა, какъ это воз-  
